ავტორიზაციის მონიტორინგის ანგარიში

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანგარიშის წარდგენის თარიღი: 1 ივნისი **2020 წელი**

2020

სახელწოდება	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	☐ კოლეჯი ☐ სასწავლო უნივერსიტეტი ☒ უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
ოფიციალური მისამართი (ქუჩა, №, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	თამარ მეფის ქუჩა, N59, ქ.ქუთაისი, 4600, საქართველო
ვებგვერდი	www.atsu.edu.ge
ავტორიზაციის მიღების თარიღი	07.09.2018
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ნომერი	№ 61
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	07.09.2024
ხელმძღვანელი	პროფესორი როლანდ კოპალიანი
ხელმძღვანელის ელფოსტის მისამართი	rector@atsu.edu.ge rolandi.kopaliani@atsu.edu.ge
ხელმძღვანელის მობილური ტელეფონი	577 13 15 02
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	კახა კუპატაძე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ელფოსტის მისამართი	Kakha.kupatadze@atsu.edu.ge
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მობილური ტელეფონი	577 131550
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირი	ასოცირებული პროფესორი თეა კორძაძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის ელფოსტის მისამართი	Tea.kordzadze@atsu.edu.ge
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მობილური ტელეფონი	555 237723

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და პროცესის აღწერა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №61, 7.09.2018 სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით აწსუ მეტწილად შესაბამისობაშია 1, 2, 3, 4, 5, 7 სტანდარტებთან, ხოლო ნაწილობრივ შესაბამისობაში მე-6 სტანდარტთან. ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე შემდგარი დისკუსიის საფუძველზე შეიცვალა ექსპერტთა შეფასების რიგი პუნქტები, კერძოდ, ცვლილება შეეხო 1.1. კომპონენტს და განისაზღვრა როგორც შესაბამისი, ნაცვლად მეტწილად შესაბამისისა; 2.3 კომპონენტი გახდა მეტწილად შესაბამისი, ნაცვლად ნაწილობრივ შესაბამისისა; 5.2. კომპონენტში შეფასება „ნაწილობრივ შესაბამისი“ შეიცვალა „მეტწილად შესაბამისით“. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით აწსუ-ს დამატებით განესაზღვრა მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარდგენისთვის 1 წელი (2019), ხოლო ავტორიზაციის მე-6 სტანდარტთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით მონიტორინგი 2 წლის ვადაში (2020). სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილის (MES12000216858) საფუძველზე აწსუ-ში მონიტორინგი განხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2 და მე-6 სტანდარტებთან მიმართებით.

2018 წლის 7 სექტემბრიდან აწსუ-მ რეკომენდაციების შესრულებისთვის და მონიტორინგისთვის განახორციელა მთელი რიგი აქტივობები თვითშეფასების ჯგუფის დახმარებით.

თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობა:
გიორგი ღავთაძე - რექტორის მოადგილე
კახა კუპატაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
იმერი ბასილაძე - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
თეა ვალიშვილი - მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსი
დავით გეგეჭკორი - საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურის უფროსი
ნატო წულეისკირი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი
თამთა კობახიძე - კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის უფროსი
ოთარი შენგელია - ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მირანდა კავაძე - სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის უფროსი
გიორგი ჭიჭინაძე - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა და ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება გააცნო აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს, უნივერსიტეტში მოქმედი სამსახურების უფროსებს, ფაკულტეტების დეკანებს, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებსა და ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს. უსდ-ში დაიგეგმა ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებისა და წარდგენისთვის, ასევე მონიტორინგისთვის განსახორციელებელი აქტივობები აწსუ-ს ადმინისტრაციასთან და ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფთან ერთად.

ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფის წევრების სამუშაო შეხვედრები ინტენსიურად მიმდინარეობდა 2019 წლის მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, რისი შედეგიც გახდა 2019 წლის 23 სექტემბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის (49 გვერდი) დანართებით (49 დანართი) წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. 2019 წლის 28 ოქტომბერს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ განიხილა სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი ანგარიში, რომელიც მიიღო ცნობად და აწსუ-მ შეასრულა 2018 წლის 7 სექტემბრის ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი ანგარიშის წარდგენის ვალდებულება.

უსდ-მ გააგრძელა მონიტორინგისთვის მზადების პროცესი იმ სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელიც 2019 წლის 18 ივლისს დაამტკიცა აწსუ-ს აკადემიურმა საბჭომ (დადგენილება №80, (18/19).

სამოქმედო გეგმის შემუშავებას წინ უძღოდა თვითშეფასების ჯგუფის, აწსუ-ს სამსახურების უფროსების, აწსუ-ს ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციის ინტენსიური სამუშაო შეხვედრები.

2019 წლის ოქტომბრიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით დაიწყო ავტორიზაციის მონიტორინგისთვის ინტენსიური მზადების პროცესი და გაფართოებული სამუშაო შეხვედრებზე ფაკულტეტების დეკანებთან, დეკანის მოადგილეებთან და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებთან განიხილებოდა სტრატეგიული გეგმის შესრულებასთან და ანგარიშებთან დაკავშირებული საკითხები, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის განხორციელების პროცესთან დაკავშირებული საკითხები.

აღნიშნულ შეხვედრებზე, თვითშეფასების ჯგუფთან ერთად, დაიგეგმა ავტორიზაციის მონიტორინგისთვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების ეტაპები. თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა წარადგინეს სამსახურების მიერ ავტორიზაციის თვითშეფასების აგნარიშში გასაუმჯობესებელ მხარეებად მითითებული და ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშები. შეხვედრებზე ასევე ისაუბრეს საკითხებზე, პრობლემებზე, რომლებიც გამოიკვეთა სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშის მომზადების პროცესში და რეკომენდაციების შესრულებისას. ამის შემდეგ, 2020 წლის თებერვალში სამსახურებმა გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და ფაკულტეტების დეკანებს.

2020 წლის 1 მარტიდან მონიტორინგისთვის მზადების პროცესმა გადაინაცვლა ონლაინ სივრცეში (Microsoft teams), ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. აღნიშნულმა თვითშეფასების ჯგუფს მისცა უნივერსიტეტის ცენტრალურ და ფაკულტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სამსახურების უფროსებთან აქტიური თანამშრომლობის, მათ მიერ მოწოდებული მონაცემების გაანალიზების და ავტორიზაციის მე-2 და მე-6 სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დამუშავების საშუალება.

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას;
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი;
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას;
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნების შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

აღწერა და შეფასება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მმართველობა ხორციელდება უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებების საფუძველზე და რომელზეც ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

უნივერისტეტის ორგანიზაციული მმართველობითი სტრუქტურა შედგება შემდეგი ფუნქციური ერთეულებისაგან:

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის სტრატეგიულ და ოპერაციულ მმართველობას;
2. ფაკულტეტები, რომლებიც წარმოადგენენ უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულებს. თითოეული ფაკულტეტი, თავის მხრივ, იყოფა დეპარტამენტებად, რომელთა უშუალო ჩართულობით ხორციელდება შესაბამისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობა.

ბიბლიოთეკა და სხვა სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ასრულებენ დამხმარე ფუნქციებს და თავიანთი ფუნქციების ფარგლებში უზრუნველყოფენ სწავლა/სწავლებისა და კვლევითი პროცესების ხელშეწყობას, სტუდენტური სერვისების მიწოდებასა და ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებას.

უნივერსიტეტის სტრატეგიული და ოპერაციული მმართველობა ხორციელდება უნივერისტეტისა და ფაკულტეტის დონეზე.

საუნივერსიტეტო დონეზე მმართველობითი ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

აკადემიური საბჭო წარმოადგენს უნივერსიტეტის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების პროცესების სტრატეგიულ და ოპერაციულ მართვაზე. აკადემიურ საბჭოს ხელმძღვანელობს თავჯდომარე - რექტორი. დღეს მოქმედი აკადემიური საბჭო არჩეული იქნა 2018 წლის 24 ოქტომბერს და შედგება 18 წევრისგან (9 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი). საბჭოს წევრებს 4 წლის ვადით ფარული კენჭისყრით ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. თითოეული ფაკულტეტიდან აირჩევა 2 წევრი - პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომლებიც საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნან ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის მართვის საკითხებში სტრატეგიული და მმართველობითი გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანოა, რომელსაც ხელმძღვანელობს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი.

ამჟამად უნივერსიტეტში მოქმედი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები აკადემიური პერსონალიდან არჩეულ იქნა 2018 წლის 28 დეკემბერს (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №1), ხოლო სტუდენტი წევრები 2017 წლის 29 ივნისს (დადგენილება №121). ის შედგება 36 წევრისგან, მათ შორის 8 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი და 13 სტუდენტი. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან, წარმომადგენლობის საფუძველზე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ფაკულტეტებზე მათი რაოდენობის პროპორციულად.

<u>რექტორი</u> არის უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური და წარმომადგენლობითი თანამდებობის პირი და აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. იგი ახორციელებს უნივერსიტეტის ზოგად ხელმძღვანელობას და პასუხისმგებელია უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების, სამეცნიერო კვლევის პროცესებისა და სტუდენტური სერვისების განხორციელებაზე, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის წარმართვაზე, აგრეთვე უნივერსიტეტის ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვა/განკარგვის მიზნით მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებასა და მათი შესრულების მონიტორინგზე. თავის საქმიანობის განხორციელებისას იგი ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე.

რექტორს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 4 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

რექტორს ჰყავს ორი მოადგილე, რომლებიც ასრულებენ რექტორის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში.

პროცესების ოპერატიული მართვისათვის რექტორთან არსებობს აგრეთვე სათათბირო ორგანოები - რექტორატი და სამეცნიერო საბჭო, რომელთა შემადგენლობას განსაზღვრავს რექტორი.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების განკარგვის სფეროში. იგი ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და პასუხიმგებელია მის ეფექტურ მუშაობაზე, უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე. თავის საქმიანობის განხორციელებისას იგი ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიური საბჭოს წინაშე. წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ირჩევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმართავს უნივერსიტეტში მიმდინარე სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის მართვის საკითხებს, რისთვისაც შეიმუშავებს პროცესების ხარისხის შეფასების მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს მათ დანერგვასა და შეფასებას. გარდა აღნიშნული საქმიანობისა, სამსახური ახორციელებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს და უზრუნველყოფს სამუშაოთა კოორდინაციას უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესებში; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით 4 წლის ვადით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორჯერ.

<u>საფაკულტეტო დონეზე</u> მმართველობითი ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 9 ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა, პედაგოგიური, მედიცინის, აგრარული, საინჟინრო-ტექნიკური, საინჟინრო-ტექნოლოგიური და საზღვაო-სატრანსპორტო.

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამის/პროგრამების შემუშავება, განხორციელება და შესაბამისი საფეხურის აკადემიური ხარისხის ან პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მინიჭება; სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი მუშაობის დაგეგმვა, წარმართვა და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა.

ფაკულტეტის საბჭო - ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომლიც უზრუნველყოფს სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ოპერაციულ გეგმარებას, მონიტორინგსა და შეფასებას. საბჭო ირჩევს და ათავისუფლებს დეკანს და მის მოადგილეს, აგრეთვე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა თვითმმართველობის არჩეული წარმომადგენლები, არანაკლებ საბჭოს შემადგენლობის 1/4-სა. ფაკულტეტის საბჭოს არჩევა ხდება პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ფაკულტეტის ძირითადი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულებიდან აკადემიური პერსონალის მიერ, სტრუქტურულ ერთეულებში მათი რაოდენობების პროპორციულად.

დეკანი ხელმძღვანელობს ფაკულტეტის სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობას, უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე და ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე.

ფაკულტეტის დეკანს (ფაკულტეტის პროფესორს ან ასოცირებული პროფესორს) ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის უზრუნველყოფაზე და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების წარმართვაზე. სამსახური რეგულარულად აფასებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო პროცესებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის - დეპარტამენტის ხელმძღვანელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებას და სტრუქტურული ერთეულის პროფესორებთან და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად უზრუნველყოფს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას.

ბიბლიოთეკა წარმოადგენს ძირითად სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სწავლა/სწავლების და კვლევის პროცესების ბეჭდურ და ელექტრონულ წიგნად ფონდთან, სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან, ელექტრონულ ჟურნალებთან და ბიბლიოთეკათშორის ფონდებთან წვდომას.

2019 და 2020 წელს უნივერსიტეტის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ჩამოყალიბდა პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი და ენების შემსწავლელი ცენტრი.

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი დებულება დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2020 წლის 22 მაისს (დადგენილება №51). დებულების მიხედვით ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხორციელება, სწავლის შედეგების დადასტურება და შესაბამისი საფეხურის პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მინიჭება; პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამების შემუშავება, განხორციელება, სწავლის შედეგების დადასტურება და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება; უნარებისა და ცოდნა-გამოცდილების აღიარება და დადასტურება; არაფორმალური განათლების ტრენინგ-კურსებისა და მოდულების შემუშავება, განხორციელება და მიღებული განათლების/უნარების დადასტურება; სასწავლო და პრაქტიკულ-შემოქმედებითი მუშაობის დაგეგმვა და წარმართვა.

ენების შემსწავლელი ცენტრის დებულება დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2019 წლის 18 ივლისს (დადგენილება №23). ცენტრის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით

უცხო ენების სწავლების ორგანიზება უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, აკადემიური და პროფესიული პროგრამების სტუდენტებისათვის (საუნივერსიტეტო დაფინანსების ფარგლებში), ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის (საქმიანობის კომერციალიზაციის ფარგლებში); ასევე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა, საკუთარი საქმიანობის უზრუნველყოფისათვის სათანადო დონეზე; საკუთარი საქმიანობისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისათვის; მთარგმნელობითი საქმიანობით მომსახურების გაწევა, როგორც უნივერსიტეტისა თუ მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულისათვის, ისე ნებისმიერი პირისათვის; ცენტრის საქმიანობის, სტუდენტთა და მსმენელთა კმაყოფილების დადგენის, პედაგოგთა საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრის და ა.შ. მიზნით კვლევების ჩატარება დამოუკიდებლად ან შესაბამისი ორგანიზაციების დახმარებით.

დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ სწავლა/სწავლებასთან და სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებული პროცესების მხარდაჭერას, სტუდენტებისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების მოთხოვნებზე მორგებული სერვისებისა და შემოქმედებითი აქტივობების განხორციელება/განვითარებას, აგრეთვე ინფორმაციის, ადამიანური და მატერიალური რესურსების, ინფრასტრუქტურის მართვასა და განვითარებას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შემდეგი დამხმარე სტრუქტურული ერთეულები:

1. ***სასწავლო პროცესის მართვის სამსახური*** უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ორგანიზებას, მონიტორინგსა და განვითარებას, აგრეთვე სტუდენტების კონტინგენტის ადმინისტრირებას; მის შემადგენლობაშია ***საგამოცდო სექტორი,*** რომელიც ტექნიკურ ორგანიზაციას უწევს გამოცდების ჩატარებას;
2. ***კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი*** ხელს უწყობს კვლევითი აქტივობების განვითარებას როგორც აკადემიურ პერსონალში, ასევე სტუდენტებში; მხარს უჭერს აკადემიურ პერსონალს მოიპოვონ გრანტები, აღმოაჩინონ ახალი შესაძლებლობები და მიმართულებები კვლევის ნებისმიერ სფეროში; ეხმარება მათ სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებაში და საშუალებას აძლევს სტუდენტებსა და დოქტორანტებს განავითარონ მათი კვლევითი აქტივობები. ცენტრი შეისწავლის უნივერსიტეტის კვლევით პოტენციალს და ამზადებს პერიოდულ ანგარიშებს.
3. ***უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი*** წარმართავს უნივერსიტეტში სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობას, უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო სივრცეში სპორტული და სახელოვნებო-შემოქმედებითი მოღვაწეობის პოპულარიზაციას;
4. ***საგარეო ურთიერთობების და განვითარების სამსახური*** წარმოადგენს უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების პროცესის ინტერნაციონალიზაციის მთავარ ხელშემწყობ სტრუქტურულ ერთეულს, რისთვისაც ის კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და ფაკულტეტების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საქმიანობას, უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას, აგრეთვე უცხოელი სტუდენტისათვის ადაპტაციის და ინტეგრაციის სერვისების მიწოდებას;
5. ***სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის*** მიზანია სტუდენტების მოთხოვნებზე ორიენტირებული სერვისების მიწოდება, მათ შორის: სტუდენტისა და უნივერსიტეტის მართვის სტრუქტურებთან მედიაციისა და კონსულტაციის სერვისი, ტუტორის სერვისი, პირველკურსელებთან გაცნობითი (ინფორმაციული) სახის შეხვედრების ორგანიზება, სტუდენტთა კარიერული განვითარების სერვისი, აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელის მხარდაჭერა, იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარების სერვისები, სტუდენტური საცხოვრისით უზრუნველყოფის მხარდაჭერა და სხვა; აღნიშნული სამსახური უნივერსიტეტის სტრუქტურას 2018 წლის 7 სექტემბრიდან დაემატა, რომელიც მანამდე სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისცენტრის ფუნქციას ასრულებდა.
6. ***მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (FabLab ATSU)*** შექმნილია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან დადებული ერთობლივი მემორანდუმის ფარგლებში. მისი მიზანია ახალი იდეების გენერირება, გამოგონებებისა და საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნა, რომელიც წაახალისებს საქართველოში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესს. იგი მოტივირებულ, შედეგზე ორიენტირებულ ადამიანებს

აძლევს თანამედროვე ტექნიკითა თუ ტექნოლოგიებით მუშაობისა და საკუთარი იდეების რეალიზების საშუალებას. ლაბორატორიაზე წვდომა აქვთ როგორც უნივერსიტეტის სტუდენტებს, ლექტორ-მასწავლებლებს და მეცნიერ-თანამშრომლებს, ასევე სხვადასხვა კერძო სამრეწველო პარტნიორებს.

2018 წლიდან უნივერსიტეტში პროექტის სახით არსებობს „მულტიმედიური ლაბორატორია", რომლის მიზანია მულტიმედიურ სივრცეში ინოვაციური პროექტების შემუშავება და რეალიზება შემდეგ სფეროებში: ვებდეველოპმენტი, აუდიო-ვიდეო მონტაჟი-გრაფიკა და მასტერინგი; ინფორმაციული ტექნოლოგიები. პროექტების წარმატებით განხორციელების შემდეგ ის შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც სტრუქტურული ერთეული.

ჩამოთვლილი დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებიდან საგარეო ურთიერთობების და განვითარების სამსახური უშუალოდ ექვემდებარება რექტორს, დანარჩენის მართვას ახორციელებს რექტორის მოადგილე. აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს სამსახურების ეფექტიან მუშაობას, ანგარიშვალდებულებას და საქმიანობის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებთან, მმართველობით გადაწყვეტილებებთან.

უნივერსიტეტის მართვაში ჩართულია უნივერსიტეტის ადმინისტრირების და დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები:

1. ***მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური***-უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე მუშაობისა და შესრულების მონიტორინგის პროცესის კოორდინირებას; მარკეტინგული კვლევების წარმოებას როგორც გეგმიურად, ასევე უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დაკვეთით; უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული მომსახურების მომხმარებელთა (ჩართულ მხარეთა) კმაყოფილებისა და ჩართულობის კვლევას; ასევე იგი ზრუნავს უნივერსიტეტის პოზიტიური, მიზნობრივი აუდიტორიისათვის მიმზიდველი იმიჯის ფორმირებ/გამყარებაზე, ცნობადობის გაზრდაზე და უნივერსიტეტის ბრენდირებაზე. საზოგადოებაში უნივერსიტეტის პოპულარობის ხარისხის ამაღლების მიზნით, სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების, მარკეტინგული პროექტებისა და პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას (სამეცნიერო პიკნიკი, ღია კარის დღეები, საგანმანათლებლო გამოფენები, დასაქმების ფორუმები და სხვ.);
2. ***ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური*** - უზრუნველყოფს საბუღალტრო და ფინანსურ აღრიცხვას, აგრეთვე ქონებისა და მატერიალური რესურსების ყაირათიან გამოყენებას, მართვასა და განვითარებას;
3. ***კანცელარია*** - ახორციელებს ინფორმაციის დროული ურთიერთგაცვლის და დოკუმენტბრუნვის პროცესებს, როგორც უნივერსიტეტის მართვისა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის, აგრეთვე უნივერსიტეტისა და საქართველო/უცხოეთის სხვა ორგანიზაციებს შორის;
4. ***იურიდიული სამსახური*** - უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულში მმართველობითი გადაწყვეტილების სამართლებრივ ექსპერტიზას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვას;
5. ***ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის*** მიზანია ადამიანური რესურსების მართვის პროცესების იმგვარად დაგეგმვა და განხორციელება, რომ მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ორგანიზაციის წინაშე არსებული მიზნების მიღწევას. ამისათვის იგი უზრუნველყოფს საქმიანი, მაღალკვალიფიციური და ერთგული თანამშრომლების მოზიდვას, განვითარებასა და შენარჩუნებას.
6. ***ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური*** - უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისათვის აუცილებელი ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერასა და განვითარებას, რათა შესაძლებელი იყოს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება როგორც სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების, აგრეთვე უნივერსიტეტის მართვის პროცესებში;
7. ***რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატები,*** აგრეთვე აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოები უზრუნველყოფენ საქმისწარმოების ეფექტიან განხორციელებას.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს მართავს (გარდა რექტორის აპარატის, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს

სამდივნოებისა) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს მათ ეფექტიან მუშაობას, ანგარიშვალდებულებას და საქმიანობის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებთან, მმართველობით გადაწყვეტილებებთან. სამსახურების გარკვეული ნაწილი ექვემდებარება რექტორს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. ეს დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება განსაზღვრულია კონკრეტული დამხმარე სტრუქტურული ერთეულის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

ზემოთ აღწერილი უნივერსიტეტის სტრუქტურა სრულად იძლევა უნივერსიტეტის მისიით დეკლარირებული მიზნების მიღწევისა და შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობას, რადგან უზრუნველყოფს:

- უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა და ადმინისტრაციული მართვის წარმართვას;
- მართვის სისტემაში წარმომადგენლობითი და მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელ სტრუქტურებს შორის ფუნქციათა განაწილებას;
- სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერაციულ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოთა უფლებამოსილების გამიჯვნას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურა



უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტს, ადმინისტრაციულ და დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულს საქმიანობის მიმართულებები, მიზნები და ამოცანები, ფუნქციები და კომპეტენციები განსაზღვრული აქვს დებულებით. აღნიშნულ დოკუმენტს თან ერთვის ფაკულტეტებზე, ადმინისტრაციულ და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული პირების თანმდებობრივი ინსტრუქციები, რომლებშიც დეტალურად და მკაფიოდაა აღწერილი მათი ძირითადი პასუხისმგებლობები და ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სამსახურებისა და ფაკულტეტების დებულებებით უსდ-ში გამიჯნულია ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის მიმართულებები.

უნივერსიტეტის მართვაში დანერგილი მიდგომაა - მართვის დეცენტრალიზაცია. ეს პროცესი მოიცავს მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით პასუხისმგებლობის, შესაძლებლობებისა და უფლება-მოვალეობების ცენტრალური რგოლებიდან, სწავლა-სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელ ძირითად სუბიექტებზე - ფაკულტეტებზე გადატანას. ამით ხდება ფაკულტეტებისათვის დამოუკიდებელი მოქმედების ფართო არეალის შეთავაზება, რათა მათ შეძლონ საკუთარი საჭიროებების ზუსტი იდენტიფიცირება, განვითარებისათვის მათზე მორგებული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზება.

უნივერსიტეტში სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შეფასება ხდება ME-QA - მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკის შემადგენელი ME-QA 3.1.-თვითშეფასებისა დ ანგარიშგების პროცედურის მიხედვით. პროცედურა ითვალისწინებს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის (სამსახურები და ფაკულტეტები) მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში უსდ-ს მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით (პროცედურის ME-QA 3.1-ის დანართები 2, 3, 4) წლიური ანგარიშის წარდგენას. პროცედურის მიხედვით ანგარიშის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სანდო და თანადროული ინფორმაციის შეგროვება. წლიური ანგარიშგება გამოიყენება უნივერსიტეტის სწავლა/სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის, სერვისების ხელმისაწვდომობისა და ორგანიზაციული განვითარების დონის შესაფასებლად. დოკუმენტში მითითებულია ანგარიშგების ვადები. უნდა აღინიშნოს, რომ აწსუ-ს ყველა სტრუქტურული ერთეული იცავს ME-QA 3.1.-თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურით განსაზღვრულ ვადებსა და ვალდებულებებს.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პოლიტიკა და პროცედურები (აკადემიური საბჭოს დადგენილება №56(19/20)). დოკუმენტის მიზანია აღწეროს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ზოგადი მიდგომები, მოთხოვნები და სამუშაო პროცესები. დოკუმენტი გამოიყენება უნივერსიტეტის ყველა ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების მიერ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შეფასების პროცესებში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცესს წარმართავს უნივერსიტეტის წესდებაში აღწერილი პროცედურის მიხედვით. ყველა პროცედურის განხორციელება ეფუძნება აკადემიურ დამოუკიდებლობას და გათვალისწინებულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონისა და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

როგორც აღვნიშნეთ, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურები აღწერილია უნივერსიტეტის წესდებაში, სტრუქტურულ ერთეულებში დანიშვნის წესი კი შესაბამისი კონკურსების ჩატარების ბრძანებებში. სტრუქტურულ ერთეულებში პერსონალის დანიშვნის წესი რეგულირდება ამ ერთეულის დებულებით. რექტორს აქვს უფლებამოსილება დამხმარე თანამდებობებზე პერსონალი მიიღოს როგორც კონკურსის წესით, ასევე კონკურსის გარეშეც. დამხმარე თანამდებობებზე პერსონალის მიღებას არეგულირებს „დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი“.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში აღწერილია მმართველობითი კრიტერიუმები, რომელთაც ეფუძნება უნივერსიტეტში ხელმძღვანელ, აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშვნის კონკურსების ჩატარების პროცესები.

პერსონალის მოზიდვის პრაქტიკული სისტემის ჩამოყალიბების მიზნით დამტკიცებულ იქნა აწსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცედურა, რომლითაც რეგულირდება პერსონალის მოზიდვისა და დაქირავების პროცესი შესაბამისი ეტაპებით (მოსამზადებელი, მოზიდვა, გადარჩევა, დაქირავება, ორიენტაცია);

უნივერსიტეტში მოქმედი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: დამსახურებებზე დაფუძნებული მიდგომა, სამართლიანობა, თანასწორობა, მიზანშეწონილობა, გამჭვირვალობა.

ადამიანური რესურსების მართვისას მიღებული გადაწყვეტილებების მიღმა არსებობს სამართლიანი არგუმენტები და ობიექტური კრიტერიუმები. უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე მათი მიღება ხდება გააზრებულად, ღრმა ანალიზის საფუძველზე. ყველა თანამშრომლის მიმართ მიდგომა არის ერთნაირი და საკვანძო გადაწყვეტილებების მიღების დროს (დაქირავება, ანაზღაურება, წახალისება, დაწინაურება და ა.შ.) ხდება უნივერსიტეტის წინაშე მათი დამსახურებების გათვალისწინება.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მმართველი ორგანოების ხელმძღვანელები ინიშნებიან არჩევნების საფუძველზე, ხოლო დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების დანიშვნა ხორციელდება კონკურსების საფუძველზე. პროცედურებით აგრეთვე უზრუნველყოფილია ერთ თანამდებობაზე ხელმძღვანელი პირის არაუმეტეს 8 წლით (ზედიზედ ორჯერ 4 წლით) დანიშვნის შეზღუდვა, ხოლო აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში წევრთა სავალდებულო როტაცია. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში არჩევა/დანიშვნა ხდება მითითებული წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით, კანდიდატების მიერ საკუთარი ხედვისა და სამოქმედო გეგმის განხილვის საფუძველზე. დანიშვნის/არჩევის პროცედურები ითვალისწინებს ვაკანტური თანამდებობის დაკავებაზე კონკურსის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას როგორც უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საინფორმაციო დაფაზე და საუნივერსიტეტო გაზეთში, ასევე დასაქმების სხვადასხვა ონლაინ პორტალზე. 2018, 2019 და 2020 წელს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის მიზნით უნივერსიტეტმა შესაბამისი კონკურსების შესახებ ინფორმაცია განათავსა არა მარტო უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და უნივერსიტეტის გაზეთში, არამედ უნივერსიტეტის გარეთაც. უნივერსიტეტში ჩატარდა კონკურსები აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. კერძოდ, კონკურსები გამოცხადდა 2018 წლის აგვისტოში პროფესორისა და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობების, 2019 წლის მაისში - ინგლისურენოვან პროგრამაზე „სამკურნალო საქმე“ აკადემიური თანამდებობების, 2019 წლის აგვისტოსა და 2020 წლის იანვარში რიგ ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. აღნიშნული კონკურსების და ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაცია იყო საჯარო და ხელმისაწვდომი აწსუ-ს ვებ გვერდზე და დასაქმების ონლაინ პორტალზე HR.ge.



ახალგაზრდა კადრის მოზიდვისა და დასაქმების მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს სტაჟირებისა და სტუდენტური დასაქმების პროგრამები. სტაჟირებაგავლილ პერსონალთან, პირის სურვილისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტი შედის შრომით ურთიერთობაში ხელშეკრულების გაფორმების გზით.

უნივერსიტეტში დაბალანსდა აკადემიურ პერსონალსა და ხელშეკრულებით მოწვეულ სპეციალისტთა რაოდენობრივი თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობის შემცირებით. ეს შესაძლებელი გახადა აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სისტემის გადახედვამ და მოწესრიგებამ, კერძოდ, „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს №65(18/19) 10.07.2019 დადგენილებით აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლისა და ხელშეკრულებით მოწვეული პერსონალის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობისა და ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის ოპტიმიზირებამ.



უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის წესს განსაზღვრავს აწსუ-ს საარჩევნო კოდექსი, რომელიც აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 6 ოქტომბერს (დადგენილება №3 (14/15)) დაამტკიცა. საარჩევნო კოდექსი განსაზღვრავს საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებებს, კომპეტენციას, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, არჩევნებში მონაწილეთა უფლებებსა და გარანტიებს, დავის განხილვის წესს და აწესრიგებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართვის სისტემა ემყარება სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ხარისხის მართვის, სასწავლო პროცესის წარმართვის, ადამიანური რესურსების მართვისა და სამეცნიერო კვლევის პოლიტიკებს და მათ შესაბამის პროცედურებს, წესებსა და ინსტრუქციებს. აწსუ-ს მართვის სისტემა უზრუნველყოფს აკადემიურ თავისუფლებას, ორიენტირებულია შედეგზე და ფასდება ანგარიშგებით.

აწსუ-ს მართვის სისტემის ეფექტურობას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

1. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება დამოუკიდებლად დაგეგმონ, განახორციელონ სწავლება/სწავლის და სამეცნიერო კვლევის პროცესები.
2. უნივერსიტეტის საზოგადოების უფლება თავად აირჩიოს მმართველი ორგანოს ხელმძღვანელები უსდ-ს წესდებითა და საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.
3. გადაწყვეტილების მიღების პროცესში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური კონტინგენტის, ასევე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. უნდა აღინიშნოს, რომ აწსუ-ში როგორც აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების, ასევე ფაკულტეტის საბჭოების ფორმირება ხდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური კონტინგენტიდან, მაღალი როტაციის წესით, რაც საშუალებას აძლევს ბევრ

სუბიექტს თავისი წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის მართვაში. აღნიშნული მმართველობითი დეცენტრალიზაციის საფუძველია.

4. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფაკულტეტის მართვის ორგანოებისათვის გადაწყვეტილებების მიღებისას ავტონომიურობის უზრუნველყოფა.

5. უნივერსიტეტის მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული ქმედებების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, რისთვისაც გამოიყენება საინფორმაციო დაფები და მულტიმედია სტენდები, უნივერისტეტის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტის გზავნილები, სმარტფონის აპლიკაცია, გაზეთი „უნივერსიტეტის მოამბე“.

6. ყველა დონის, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საფაკულტეტო, ხელმძღვანელობის და მართვის ორგანოების ანგარიშვალდებულება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური კონტინგენტის, აგრეთვე საზოგადოებისა და დაინტერესებულ მხარეთა წინაშე. მაგალითად, დეკანი წარადგენს წლიურ ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი წარმომადგენლობით საბჭოსთან, ხოლო რექტორი და ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსი - აკადემიურ საბჭოსთან. ანგარიშის წარდგენა არის საჯარო და დოკუმენტები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი ყველა სტრუქტურული ერთეულის უფროსი ანგარიშვალდებულია აგრეთვე ადმინისტრაციის უფროსთან.

მმართველობითი გადაწყვეტილებების საფუძველზე უნივერსიტეტში განხორციელებული პროცესები აკმაყოფილებს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური კონტინგენტის საჭიროებებს, ასევე უზრუნველყოფს არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას. აღნიშნულის შეფასებისთვის აწსუ იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს:

- ხარისხის მართვის შიდა სისტემის საშუალებით, ფასდება სწავლა/სწავლების და სამეცნიერო კვლევების პროცესების ეფექტურობა და ხდება შემდგომი გაუმჯობესება. პროცესები კონტროლდება როგორც საუნივერსიტეტო დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ასევე საფაკულტეტო დონეზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ხარისხის კონტროლისათვის გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი, როგორიცაა: აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრება, საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება და რეფერირების სისტემა და სხვა;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის შეფასებისა და რეაგირების სისტემა უზრუნველყოფს დაგეგმილი და ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა შეფასებას;
- ფაკულტეტებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ხარჯვის მიზნობრიობას უზრუნველყოფს ფინანსებისა და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური და ადმინისტრაციის უფროსი;
- რადგან უნივერისტეტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ამიტომ მისი ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვას მონიტორინგს უწევს საქართველოს ფინანსთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები;
- წელიწადში ერთხელ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს უნივერსიტეტის ხარისხის სისტემის, პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, ხოლო ადმინისტრაციის უფროსი წარადგენს ანგარიშს უნივერსიტეტში ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების განკარგვის შესახებ.
- სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ხარისხის შესაფასებლად უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევას;

მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების სისტემა ეფუძნება როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ სტრუქტურებს შორის კავშირებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ჩართულობით.

უნივერსიტეტის ფაკულტეტებს შემუშავებული აქვს საკუთარი სტრუქტურული ერთეულის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, საგანმანათლებლო და კვლევითი პროფილები. ასევე განსაზღვრულია ფაკულტეტებზე დასაქმებული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო და თანამდებობრივი აღწერები, რაც აადვილებს უნივერსიტეტში მათი საქმიანობის შეფასებას.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ფაკულტეტების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, აგრეთვე საგანმანათლებლო და კვლევითი პროფილები გამოქვეყნებული არის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ME-QA-3.2. მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფაში გამოყენებული PDCA ციკლური პროცესის ერთ-ერთ ელემენტს - შეფასებას. აღნიშნული პროცედურით ხდება აწსუ-ს სწავლა/სწავლების, კვლევის და მართვის პროცესების პერიოდული შეფასება და შეფასებით მიღებული შედეგების გამოყენება უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მუდმივი გაუმჯობესებისთვის. შეფასების პროცესი ეფუძნება ME-QA-3.1.-თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურას.

უნივერსიტეტში მოქმედებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა - „eflow“ და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ადმინისტრირებას. სტუდენტს საშუალება აქვს მუდმივად აკონტროლოს საკუთარი პროფილი, სასწავლო ბარათი, გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამებს, სილაბუსებსა და საგნების სწავლების სპეციფიკას (წინაპირობებიდან და განსაკუთრებული მოთხოვნებიდან გამომდინარე), ასევე საშუალება ეძლევა ელექტრონულად აირჩიოს არჩევითი საგანი, დამატებითი (minor) პროგრამა, დავალიანებაში დარჩენილი ასათვისებელი საგნები.

აწსუ 2013 წლიდან თანამშრომლობს კომპანია Microsoft-თან, შესაბამისად კომპანიის ყველა ბენეფიტს და სპეციალურ შეთავაზებებს პროგრამულ პაკეტებზე, უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები აქტიურად იღებენ. უნივერსიტეტში დარეგისტრირებულ მომხმარებლებს გააჩნიათ გარკვეული უპირატესობები, კერძოდ:

- One Drive - ღრუბლოვანი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილი დისკური სივრცე 1000 გბ-ის ფარგლებში;
- თითოეულ სტუდენტს შეუძლია უფასოდ ჩამოიწეროს საოფისე პროგრამების პაკეტი და ჩანერგოს იგი 5 სხვადასხვა მოწყობილობაზე.
- კალენდარი - საკუთარი დღის წესრიგის შეტანა, დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარების თარიღების მითითება. სერვისი საშუალებას იძლევა გაუგზავნოს მომხმარებელს წინასწარი შეტყობინება/შეხსენება;
- ჯგუფებთან მუშაობა - მომხმარებლებს შეუძლიათ შექმნან საკუთარი მცირე ჯგუფები და მოახდინონ ამ ჯგუფთან კომუნიკაცია;
- საოფისე პროგრამებზე „ონ ლაინ“ წვდომა (რაც გამორიცხავს მომხმარებლების მხრიდან პრეტენზიებს საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის არ ქონის შესახებ);
- გამოკითხვის ფორმების ორგანიზება;
- ვიდო კონფერენციების ორგანიზება და ა.შ.

ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისა და პანდემიის პირობებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აჩვენა სწრაფი რეაგირებისა და კრიზისული მართვის მაღალი სტანდარტი. ონლაინ სწავლებისათვის უნივერსიტეტმა აირჩია საერთაშორისოდ აღიარებული პლატფორმები Microsoft Teams და Moodle. უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც 16 მარტიდან დაიწყო ონლაინ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვა. აღსანიშნავია, რომ პირველივე დღიდანვე, პროცესში აქტიურად ჩაერთო 5000-მდე სტუდენტი და ლექტორ-მასწავლებელი, თუმცა ეს მაჩვენებელი გაიზარდა და ამჟამად Microsoft Teams პლატფორმის ფარგლებში ჩართულ აქტიურ მომხმარებელთა რაოდენობა 7000-ზე მეტი, მათ შორის 700-მდე აკადემიური და დამხმარე პერსონალია.

ონლაინ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, 11-დან 15 მარტამდე ონლაინ სწავლების მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ჩატარდა ტრენინგები უნივერსიტეტის პერსონალისთვის; გამოიყო ფაკულტეტებზე დახმარების ჯგუფები, რომლებიც აკადემიური ჯგუფების ფორმირებას უწევდა ორგანიზებას, შემუშავდა და მომხმარებელთა სეგმენტებისათვის ინდივიდუალურად გაიწერა მართვის პოლიტიკა (Policies). ჩატარდა სატესტო ჯგუფების ტექნიკური ანალიზი, რომლის საფუძველზეც ეტაპობრივად განხორციელდა სხვადასხვა სერვისების დამატება. დამზადდა სტუდენტთა დახმარების სპეციალური პორტალი, სადაც 4000-ზე მეტ სტუდენტს გაეწია ონლაინ კონსულტაცია. დამზადდა ვიდეო სახელმძღვანელოები სტუდენტების და აკადემიური პერსონალისათვის. ისინი კატეგორიებად განთავსდა უნივერსიტეტის მიერვე შექმნილ დახმარების პორტალზე - სტუდენტებისათვის www.online.atsu.ge; აკადემიური პერსონალისთვის www.online.atsu.ge/lector/.

საკარანტინე და იზოლაციის წესების გამკაცრების შემდეგ ტრენინგები და კონსულტაციები მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში, როგორც ინდივიდუალურად ასევე ფოკუს ჯგუფების მიხედვით. კერძოდ, ონლაინ ჩატარდა 20 ტრენინგი, ხოლო ონლაინ ვიდეო კონსულტაციები - 50-მდე მცირე ზომის ჯგუფებთან.



Microsoft teams-ში ონლაინ სასწავლო კურსები ჩატარდა სინქრონულად ან/და ასინქრონულად. სტუდენტებისთვის აკადემიური პერსონალის მიერ აიტვირთა სასწავლო რესურსები, კერძოდ, ონლაინ წაკითხული სასწავლო კურსები აკადემიური პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილი იქნა ყველა შესაძლო სასწავლო რესურსით (სალექციო კურსები, სახელმძღვანელოები, ლექციების მსვლელობის დროს გამოყენებული პრეზენტაციები, სასწავლო ფაილები, ლინკები). აწსუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებში, ელექტრონულ ბიბლიოთეკაში არსებულ სახელმძღვანელოებზე სტუდენტებს ჰქონდათ ონლაინ წვდომა. ონლაინ შეფასებების წარმოებისათვის, უნივერსიტეტი იყენებს Microsoft Forms-ის ფორმებს. Remote Control ტექნოლოგიის გამოყენებით ჩატარდა ლაბორატორიული მუშაობები სხვადასხვა მიმართულებებით. ვიდეო გაკვეთილები უშუალოდ ლაბორატორიის სივრციდან; 360 გრადუსიანი ვიდეო ტრანსლირება ვირტუალური სათვალეებისა და მობილური მოწყობილობებისათვის. შეიქმნა ვებ პორტალი, სადაც განთავსებულია უკვე დამზადებული ვიდეო გაკვეთილები ამ ფორმატში (http://360.atsu.ge).

ონლაინ რეჟიმში Microsoft teams-ის გამოყენებით აწსუ-ს მედიცინის ფაკულტეტი სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის ატარებს COVID 19 პანდემიასთან და სამედიცინო განათლებაში ონლაინ სწავლების გამოწვევებთან დაკავშირებულ ღია ლექციებს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების (გიორგი ფხაკაძე, MD.PhD, MPH - გაეროს გენერალური მდივნის დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების პანელის წევრი, EWEC; ზაზა ქაცარავა, ესენის უნივერსიტეტი, ნევროლოგიის დეპარტამენტის პროფესორი; თამარ ვაშაყმაძე, ჰოსპიტალური მედიცინის პროგრამის სამედიცინო დირექტორი; ეკა ქავთარაძე, სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ გენერალური დირექტორის მოადგილე; ბიძინა კულუმბეგოვი, ექიმი ალერგოლოგი; ნანა შავლაყაძე, მედ.დოქტ. პროფესორი, კლინიკური იმუნოლოგი; ქეთევან ჯუღელი, პირველადი ჯანდაცვის ინტეგრაციაზე 112 სერვისებში; კახაბერ ლაზარაშვილი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი-საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ლონდონის უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელი-UCL,ბრიტანეთის უმაღლესი განათლების აკადემიის საპატიო წევრი FHEA, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამეფო ასოციაციის წევრი FRSPH, ჯანდაცვის მენეჯმენტის ფაკულტეტის უფროსი ლექტორი, ჯანდაცვის მენეჯმენტის ხარისხის მოდულის ხელმძღვანელი- Arden University (UK) - ონლაინ სწავლების გამოწვევები სამედიცინო) მონაწილეობით:

2012 წელს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაიმართა ელექტრონული სწავლების სისტემა Moodle. სისტემა ეტაპობრივად განიცდიდა სახეცვლილებებს სისტემის განვითარებისა და უნივერსიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე. დანერგვის პროცესში უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა, როგორც საქართველოს, ასევე უცხოურ უნივერსიტეტებთან გამოცდილების გაზიარების კუთხით. მათ შორის ნორვეგიული ორგანიზაცია It's learning (2013 წელი), რომლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ლიცენზირებულმა ტრენერმა ქეით სორნმა აწსუ-ს თანამშრომლებისათვის ჩაატარა ინტენსიური ტრენინგი ელექტრონული სასწავლო კურსის შექმნაში. ToT-ის პლატფორმის გამოყენების ტრენინგი გაიარა 20-მა აკადემიურმა პერსონალმა. 2017 წელს აწსუ-ს მოწვევით მიდლსექსის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯორჯ დეფოულასმა გასწია საექსპერტო მომსახურეობა და შეაფასა აწსუ-ს ელექტრონული კურსების ხარისხი. ამჟამად პედაგოგიურ ფაკულტეტზე ელექტრონული სწავლებისათვის გამოიყენება Moodle-ს პლატფორმა. საგამოცდო პროცესები ამ ფაკულტეტზე წარიმართა სწორედ ამ სისტემაში. პროფესორ მასწავლებლების სურვილის გათვალისწინებით ნაწილობრივ ჩართული იყო სხვა ფაკულტეტებიც. Moodle ზოგადად გამოირჩევა მრავალფეროვნებით სატესტო დავალებების შექმნის საშუალებებით და გააჩნია დაგროვებითი ტიპის კითხვების ბაზის ფორმირების საშუალება, მასში კითხვების დამატება და განახლების რეჟიმით.

დაინტერესებული პირებისათვის IT სამსახური პერმანენტულად ატარებდა კონსულტაციებს სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისა და პანდემიის პირობებში IT სამსახურის მიერ შეიქმნა გაცნობითი საგამოცდო კურსი, რომელიც დაეგზავნა ყველა სტუდენტსა და პროფესორს შესაბამისი ვიდეო რგოლის თანხლებით.

უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი ფუნქციონირებს Moodle 3.3.2+ (Build: 20170928)-ს პლატფორმაზე (moodle.atsu.edu.ge), პორტალი ფიზიკურად განთავსებულია უნივერსიტეტის ლოკალურ ქსელში და ემსახურება ყველა ფაკულტეტს (სტუდენტებისთვის მასალების მიწოდება და საგამოცდო პროცესის წარმართვა - ტესტირება). ამჟამად, Moodle-ის პლატფორმაზე დარეგისტრირებულია 719

სასწავლო კურსი, 12424 მომხმარებელი (ინახება ბოლო 5 წლამდე ინფორმაცია), რესურსების რაოდენობა უტოლდება 719-ს, დავალებების რაოდენობაა - 44536 და კითხვების რაოდენობა - 48082.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ონლაინ სწავლების შეუფერხებლად წარმართვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიბლიოთეკამ. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი (2018 წლიდან ორენოვანია) აერთიანებს ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისათვის ყველა ძირითად ინფორმაციას. მათ შორისაა ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული დაჯავშნა, ელექტრონული რესურსები, ბიბლიოთეკათშორისი სერვისი, წიგნების ელექტრონული შეკვეთა და სხვა.

ელექტრონული კატალოგი (http://atsu.library.ac.ge) წარმოადგენს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემას (ILS-Integrated Library System) და მოიცავს შემდეგ ძირითად ფუნქციებს: რესურსების კატალოგიზაცია/ინვენტარიზაცია, ვებ-კატალოგი (OPAC- Online Public Access Catalogue), ცირკულაცია, ანგარიშგება (რეპორტინგი), სინქრონიზაცია სხვა ანალოგებთან. ელექტრონულ კატალოგში ჩაშენებულია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი გუტენბერგის ბიბლიოთეკა (მთლიანად გაციფროვნებულია) და google search, რომელიც საშუალებას აძლევს მკითხველს/მომხმარებელს ერთი ფანჯრის პრინციპით მოიძიოს და გამოიყენოს მასში განთავსებული საბიბლიოთეკო რესურსები. ელექტრონულ კატალოგში ჩანაწერების რაოდენობა დღეისათვის შეადგენს 57165 ერთეულს.



ელექტრონული ჩანაწერების თანაფარდობა კატალოგერებთან

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას გააჩნია მდიდარი წიგნადი ფონდი და მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დღეისათვის 687,254 ერთეულს მოიცავს და იგი პერმანენტულად იზრდება შემენილი და საჩუქრად მიღებული საბიბლიოთეკო მასალებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. ბეჭდურის გარდა, ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული რესურსები, როგორიცაა: ელექტრონული წიგნები, აუდიო წიგნები, აუდიო-ვიდეო ლექციები და სასწავლო მასალები, პერიოდული გამოცემები და სხვა. ელექტრონული ბიბლიოთეკა მოიცავს ყველა შინაარსის ელექტრონულ ლიტერატურას. მათზე წვდომა შესაძლებელია, როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან, ასევე მის მიღმა. დღეისათვის ელ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 2145 ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსი და დარეგისტრირებულია 1722 მკითხველი/მომხმარებელი. ბიბლიოთეკის მკითხველისათვის/მომხმარებლისათვის შეიქმნა ელექტრონული კატალოგისა და ბიბლიოთეკის ელექტრონული გზამკვლევი, რომელიც დაეხმარება მათ სასურველი საბიბლიოთეკო მასალის მოძიებაში (https://www.youtube.com/watch?v=tNImfcsDyBk). ბიბლიოთეკა ყველა დაინტერესებულ მკითხველს/ მომხმარებელს სთავაზობს ბიბლიოთეკათშორის მომსახურებას, რომელიც გულისხმობს სხვა ბიბლიოთეკებიდან დროებით ისეთი კოლექციებით სარგებლობას, რომელიც ჩვენს ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება. აწსუ-ს ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებზე

(https://library.atsu.edu.ge/scientific-bases.html), რომლებიც აერთიანებს ათასობით სამეცნიერო ჟურნალსა და წიგნს. 2018 წელს, ყველა ელექტრონული ბაზა, ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელიდან. დღეისთვის ScienceDirect-ის და EBSCO-ს ბაზებით სარგებლობა უკვე შესაძლებელია ინტერნეტში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერით ან სხვა შესაბამისი მოწყობილობით უნივერსიტეტის მიღმა.

აწსუ-ს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ჩაატარა ანონიმური ონლაინ გამოკითხვა ელექტრონულ სწავლებით სტუდენტთა კმაყოფილების შესწავლის მიზნით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო აწსუ-ს ყველა ფაკულტეტის 1506 სტუდენტმა, რომლებმაც დადებითად შეაფასეს როგორც ონლაინ სწავლების ორგანიზება უნივერსიტეტში (5 ქულიდან 4,12 ქულა), ასევე ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მიერ გაწეული ტექნიკური დახმარება ონლაინ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით (5 ქულიდან 4,19 ქულა). გამოკითხულთა უმრავლესობა (86%) აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი სრულად ან მეტწილად მიმდინარეობდა სასწავლო ცხრილის შესაბამისად. სტუდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ უნივერსიტეტი ეფექტურად გაუმკლავდა ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლას, ხოლო ელექტრონული სწავლების გამოყენება სასწავლო პროცესში საინტერესო და სასარგებლო გამოცდილება იყო მათთვის.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2018 წლიდან „მულტიმედიური ლაბორატორიის ბაზაზე“ ავითარებს ინოვაციურ პროექტს, რომლიც ფარგლებშიც დამზადდა სტუდენტთა თვითმომსახურების ტერმინალები. აღნიშნული ტერმინალის საშუალებით უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუძლიათ დისტანციურად გაგზავნონ განცხადებები და შეავსონ აპლიკაციები. ტერმინალები განთავსდა უნივერსიტეტის ყველა კორპუსში. პანდემიის პირობებში სტუდენტთათვის დოკუმენტბრუნვის მარტივად წარმოების ხელშეწყობის მიზნით, ფორსირებულ რეჟიმში საგანგებოდ დამზადდა მობილური და დესკტოპ აპლიკაციები ყველა ოპერაციული სისტემისათვის. ახლა უკვე სტუდენტს საშუალება აქვს საკუთარი სმარტფონიდან თუ კომპიუტერიდან, სახლიდან გაუსვლელად აწარმოოს დოკუმენტბრუნვა, ატვირთოს ფაილი და მიიღოს პასუხი განცხადების სტატუსზე. აღნიშნული აპლიკაცია ხელმისაწვდომია Google play და Apple Store მარკეტებზე. აპლიკაციები შექმნილია Android, iOS, Windows და Mac osx პლატფორმებისათვის, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის მიერ შექმნილ ვებ გვერდზე https://mterminal.atsu.ge/, სადაც ასევე განთავსებულია მოხმარების ვიდეო სახელმძღვანელოები.

„მულტიმედიური ლაბორატორიის“ მიერ 2018 წელს დამზადდა საინფორმაციო ტიპის მობილური აპლიკაცია ATSU NEWS. ის განახლებულ რეჟიმში აწვდის მომხმარებელს ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა სიახლისა და პროექტის შესახებ. მას აქტიურად იყენებს 3000-ზე მეტი მომხმარებელი, ყველა პოპულარულ მობილურ პლატფორმაზე (იხ. Google Play Store და Apple App Store).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყველა სახის საქმიანობის წარმართვისას ხელმძღვანელობს ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის პოლიტიკითა და მართვის მექანიზმებით. დოკუმენტი აღწერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა-სწავლების, მეცნიერებისა და მმართველობითი საქმიანობის პროცესში რისკების შეფასებისა და პრევენციის მეთოდებს, აგრეთვე ბიზნესუწყვეტობის გეგმას, მის საქმიანობებს, პასუხიმგებელ პირებსა და ვადებს. ზემოთ აღწერილი აწსუ-ში განხორციელებული საქმიანობები განმტკიცებულია აღნიშნული დოკუმენტით, რომელშიც შევიდა ცვლილებები და დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 25 მაისს (დადგენილება №57(19/20))

აწსუ-ს ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებაა. უნივერსიტეტს, გააჩნია რა მრავალწლიანი გამოცდილება საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში, სჭირდება ინტერნაციონალიზაციის რეალური, განხორციელებადი სტრატეგია, რომელიც დაეყრდნობა არსებული მიღწევების საფუძვლიან ანალიზს, გაითვალისწინებს ხელმისაწვდომ რესურსებს და სხვა მრავალმნიშვნელოვან ფაქტორთან ერთად, ქვეყნის შიგნით არსებულ კონკურენციას. სტრატეგიის განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და ამ მიზნის გარშემო გაერთიანება. სწორედ ამიტომ უნივერსიტეტის სტრუქტურას დაემატა რექტორის მოადგილის თანამდებობა, რომლის ფუნქციებში შედის ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერება, რაც ითვალისწინებს საერთაშორისო სტუდენტების უნივერსიტეტში მოზიდვას და მათთან კომუნიკაციას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო თანამშრომლობაზე და ინტერნაციონალიზაციის პროცესის წარმართვაზე ასევე პასუხისმგებელია საგარეო ურთიერთობების და განვითარების სამსახური, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და ფაკულტეტების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საქმიანობის კოორდინაციას, უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას, აგრეთვე უცხოელი სტუდენტებისათვის ადაპტაციის და ინტეგრაციის სერვისების მიწოდებას.

საგარეო ურთიერთობების და განვითარების სამსახური თანამშრომლობს ფაკულტეტებთან და მოიძიებს ინფორმაციას საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობის შესახებ, ხელს უწყობს კავშირების დამყარებას, პროექტის მომზადებას და შემდგომ განხორციელებას.

უნივერსიტეტი სხვადასხვა ფორმატით თანამშრობლობს მსოფლიოს 100-ზე მეტ უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს რეგიონში ყველა მსხვილ დონორ ორგანიზაციასთან, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური პროგრამები და პროექტები უმაღლესი სასწავლებლებისათვის, European Commission-Erasmus+; Horizon 2020, NATO; GIZ; USAID; Millenium Chalange Corporation (MCA Georgia); Volkswagen Foundation, US State Department, British Council; DAAD; CEU. 2016 წლამდე უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებდა Erasmus+ საგრანტო პროექტებში, როგორც პარტნიორი უნივერსიტეტი.



აწსუ-ს მონაწილეობა აქვს მიღებული 15-ზე მეტ საერთაშორისო პროექტში და ამ პროექტებიდან მიღებული აქვს მილიონამდე ლარი. 2016 წელს კი უნივერსიტეტი გახდა ERASMUS+ პროექტის კოორდინატორი, რომელიც ეხება სტუდენტური ომბუდსმენის სერვისის განვითარებას. უნივერსიტეტის კოორდინატორობამ გაზარდა საერთაშორისო ცნობადობა. 2018 წლიდან დღემდე უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა 3-ჯერ გაიზარდა.



ამჟამად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა ERASMUS+ -ის ინსტიტუციური განვითარების პროექტის ,,უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში“ (ROLE OF UNIVERSITIES IN THE REGIONAL DEVELOPMENT - RURD) აპლიკანტ-კოორდინატორი. პროექტის მიზანია ევროკავშირის პარტნიორებთან თანამშრომლობით საქართველოს რეგიონალური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის გაზრდა რეგიონების განვითარებაში, მათი მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მოდერნიზება, ასევე უნივერსიტეტებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება თითოეული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროექტში ჩართული არიან საქართველოს რეგიონალური უნივერსიტეტები და 4 ევროპელი პარტნიორი ესპანეთიდან, ავსტრიიდან, ჩეხეთიდან და ლიეტუვადან. პროექტში ასევე ჩართულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

საერთაშორისო მობილობის ფარგლებში აწსუ ახორციელებს გაცვლით პროგრამებს 18-მდე პარტნიორ უნივერსიტეტთან ყველა საფეხურის სტუდენტების და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისათვის. საერთაშორისო მობილობა განხორციელდა იმ ERASMUS+ პროექტების ფარგლებში, რომელშიც აწსუ მონაწილეობდა. აღნიშნულის გამო, უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის დინამიკამ 2018-2020 წლებში მკვეთრად იმატა.



სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება ვებგვერდის, საინფორმაციო სტენდების, კორპორაციული ელფოსტისა და ანდროიდის აპლიკაციის საშუალებით.

საერთაშორისო პროექტების ფარგლებში შეიქმნა და გაუმჯობესდა საგანმანათლებლო პროგრამები (MAHATMA, MathGear, BME, მედიცინა+PBL). აწსუ ახორციელებს ინგლისურენოვან საგანამანათლებლო პროგრამებს და ზრუნავს ამ პროგრამებზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვისათვის.

უნივერსიტეტში არსებობს უცხოელი სტუდენტების მოზიდვის პროცედურა, რომლის მიზანია უზრუნველყოს უნივერსიტეტში არსებულ ქართულ და უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების მოზიდვა. აწსუ-ს საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური პასუხისმგებელია პროცედურის განხორციელებაზე და სამუშაოთა კოორდინაციაზე, რისთვისაც თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საქართველოს დიპლომატიურ მისიებთან, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიურ მისიებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტებთან და სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან. საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა შესაძლებელია უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საშუამავლო კომპანიების მეშვეობით, ასევე ინდივიდუალური წესით (სწავლის მსურველების პირადი განცხადების საფუძველზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული სააპლიკაციო ფორმის მეშვეობით), მობილობით როგორც საქართველოს ისე უცხოეთის უნივერსიტეტიდან.

2019 წელს უნივერსიტეტმა უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით განახორციელა სხვადასხვა აქტივობა. მაგ: აწსუ-მ მონაწილეობა მიიღო ჰელსინკში გამართულ საგანმანათლებლო გამოფენაში (new Deli (UNi Agent UNICA), აშშ-ში გამართულ NAFSA კონფერენციაში, პარტნიორების დაფინანსებით უნივერსიტეტის წარმომადგენლობა იმყოფებოდა ინდოეთის ქალაქ ჰაიდერაბადში. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო უნივერსიტეტის მონაწილეობა საერთაშორისო ფეარებში. კერძოდ ინდოეთის და სამხრეთ აფრიკის ფეარი, სადაც გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები საერთაშორისო აგენტებთან უცხოელი სტუდენტების რეკრუტირების მიზნით. უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად უნივერსიტეტს გაკეთებული აქვს სარეკლამო რგოლები.

2018-2019 წლებში გაიზარდა უცხოელი სტუდენტების ნაკადი.



უნივერსიტეტი თანამშრომლობს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებთან და საქართველოს საელჩოებთან. თურქეთის საელჩოსა და იუნუს მერეს ინსტიტუტის მოწვევით უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს თურქი პროფესორი. დამყარდა ურთიერთობები ერაყის და ინდოეთის საელჩოებთან უცხოელი სტუდენტების რეკრუტირების მიზნით.

უცხოელი სტუდენტების ნაკადის მკვეთრმა გაზრდამ განაპირობა ცვლილება საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურში სტრუქტურაში. კერძოდ ცალკე შეიქმნა საერთაშორისო სტუდენტების მომსახურების სექტორი, რომელიც არეგულირებს:

- უცხოელი სტუდენტებისათვის სავიზო რეგულაციებთან დაკავშირებული პროცედერული საკითხების კოორდინირება (ვიზის მიღების ხელშეწყობა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- უცხოელ სტუდენტთა საცხოვრებელით უზრუნველყოფის ხელშეწყობა; უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი და ინფორმაცია ბინების შესახებ, რომელთა დაქირავება შესაძლებელია ქუთაისში;
- ორიენტაციის დღეების ორგანიზება უცხოელი სტუდენტებისათვის; Welcome centre - ატარებს ორიენტაციის დღეებს სტუდენტის ჩამოსვლის შემდეგ და ის გრძელდება 5 სამუშაო დღე;
  1-ლი დღე დახვედრა/დაბინავება, საერთო საცხოვრებლის მონახულება, სტუდენტის სურვილის შემთხვევაში ბინების ნახვა და დაბინავება;
  მე-2 დღე საბანკო ანგარიშის გახსნა, ტელეფონის ნომრის შეძენა;
  მე-3 დღე უნივერსიტეტის სასწავლო კამპუსების დათვალიერება, ბიბლიოთეკაში გაწევრიანება;
  მე-4 დღე შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ლექტორ-მასწავლებლებთან შეხვედრა;
  მე-5 დღე ქალაქის ჩვენება, ექსკურსია ქალაქში;
- ბინადრობის მოწმობის მიღების ხელშეწყობა, საჯარო რეესტრში ბინადრობის მოწყობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს წესდება;
- სამსახურების დებულებები;
- ფაკულტეტების დებულებები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- აწსუ-ს სტრუქტურა;

- ME-QA მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა პროცედურებით;
- აწსუ - სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პოლიტიკა და პროცედურები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკა და მართვის მექანიზმები.
- ჩატარებული ღია ლექციების ლინკები:

https://atsu.edu.ge/index.php/en/news-2eng/1872-germaniis-gamocdileba
https://atsu.edu.ge/index.php/en/news-2eng/1885-tamar-vashakmadze-sars-cov-3
https://atsu.edu.ge/index.php/en/news-2eng/1892-eveqsis-direqtori
https://atsu.edu.ge/index.php/en/news-2eng/1873-kulumbegovi-covid
https://atsu.edu.ge/index.php/news/1859-sars-cov-2
https://atsu.edu.ge/index.php/en/news-2eng/1871-sars-cov
https://atsu.edu.ge/index.php/medicine-news/1846-zhejiang-chartva-klinikidan
https://atsu.edu.ge/index.php/medicine-news/1858-saq-universitetebi-covid19-gaaertiana
https://atsu.edu.ge/index.php/medicine-news/1909-samedicino-ganatleba-britanetshi

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას;
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

აღწერა და შეფასება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას, რომელიც ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, უნივერსიტეტის წესდებით, სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით და ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებისა და მისიის განხორციელებას.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ოპერირებს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით და ფართოდ იყენებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება (PDCA ციკლი).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ეფუძნება სხვადასხვაგვარ პოლიტიკას, პროცედურებსა და ინსტრუქციებს/წესებს/გზამკვლევებს.

ხუს-ის ერთ-ერთი პოლიტიკაა EP-QA საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც აერთიანებს შემდეგ პროცედურებს: EP-QA 1.1 -საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა; EP-QA 1.2- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა; EP-QA 1.3-მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა. EP-QA -საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას. რაც შეეხება პროცედურებს, EP-QA 1.1 პროცედურა ემსახურება ახალი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების განხორციელების გზების, ძირითადი მოთხოვნებისა და პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას. EP-QA1.2 პროცედურა აღწერს მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელ აქტივობებს/ღონისძიებებს, ასევე შეფასებისათვის გამოყენებულ სხვადასხვა ინდიკატორსა და კრიტერიუმებს. პროცედურის განხორციელებით მიღებული შეფასება გამოიყენება მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. EP-QA 1.3 პროცედურა განსაზღვრავს მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, მათი განხორციელების

გზებსა და პასუხისმგებელ პირებს, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და ამ ცვლილებების დამტკიცების სამუშაოებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად დაგეგმა და განახორციელა პროგრამების ხელმძღვანელების დონეზე EP-QA საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მაქსიმალური მიწოდება, შედეგი შეფასდა აკრედიტაციისთვის მომზადებულ საგანმანათლებლო პროგრამებში აღნიშნული პოლიტიკით გათვალისწინებული პროცედურების შესრულების ხარისხით და მათი სტანდარტთან შესაბამისობის გადამოწმებით. საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრა გაუმჯობესების გზები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კიდევ ერთ პოლიტიკაა RE-QA- კვლევის განვითარების პოლიტიკა, რომელსაც განვიხილავთ მე-6 სტანდარტში.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა მიმართულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელებისაკენ ყველა რგოლის ეფექტური ჩართულობით. ამიტომ ის თანამშრომლობს სხვადასხვა დონის მმართველობასთან: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლა/სწავლისთვის და სამეცნიერო კვლევითი პროცესების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას თითოეული ფაკულტეტის თავისებურებების გათვალისწინებითა და მისი ავტონომიურობის დაცვით, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებლობას შეთანხმებულ ფარგლებში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხარისხის ციკლის სრულყოფას ფაკულტეტების დონეზე სამოქმედო გეგმების შემუშავებითა და განხორციელებით, რაც დასტურდება ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების სამოქმედო გეგმებით, წარმოდგენილი პერიოდული და ყოველწლიური ანგარიშებით. სამოქმედო გეგმაში, რომელსაც ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახური სასწავლო წლის დასაწყისში წარუდგენს ჯერ ფაკულტეტის საბჭოს და შემდეგ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, მითითებულია სამსახურის მიერ განსახორციელებელი აქტივობები, რამდენჯერ და როდის სრულდება სასწავლო წლის განმავლობაში. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ ანგარიშგება სრულდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს და მასში აისახება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება. აღნიშნული ყოველწლიური ანგარიშები აისახება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშში.

უნივერსიტეტში ME-QA - მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა აერთიანებს ME-QA-3.1 თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურას. პროცედურის საშუალებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასებისა და ანგარიშგების დამკვიდრებას, რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვის მუდმივი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა წარმოადგენს უნივერსალურ ინსტრუმენტს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პოლიტიკების განსახორციელებლად.

2015-2018 წლებში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კონცენტრირდა ხარისხის უზრუნ-ველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწასა და განვითარებაზე, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მარეგულირებელი დოკუმენტების გამართულობა; ახალი საგანმანათ-ლებლო პროგრამების წარდგენისა და დამტკიცების პროცედურები; საგანმანათლებლო პროგრამების პერი-ოდული შეფასება და ყოველწლიური ანგარიშები; სტუდენტთა გამოკითხვა სწავლების პროცესისა და აკა-დემიური პერსონალის შესახებ და მათი მოსაზრებების გათვალისწინება; აკადემიური პერსონალის განვი-თარებაზე ზრუნვა; სასწავლო რესურსების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სტუდენტთა მომსახურე-ბის მექანიზმების განვითარება და სხვა. 2018 წელს აღნიშნული საკითხები აისახა ხუს-ის პოლიტიკებსა და პროცედურებში და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაიწყო მათი გამოყენებით უნივერსიტეტში საქმიანობების წარმართვა. დღეს კი უსდ აღნიშნულ პოლიტიკებს, პროცედურებს და მარგულირებელ დოკუმენტებს იყენებს აწსუ-ში შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის და მიმდინარე პროცესების

მონიტორინგისთვის და მართვისთვის. აღნიშნული დასტურდება პროგრამული აკრედიტაციისთვის მომზადებული და უკვე აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებით, სამსახურებისა და ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ ჩატარებული გამოკითხვებით და ა.შ.

ამრიგად, 2017 წელს შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის იმპლემენტაცია და შესაბამისი მექანიზმების ქმედითად გამოყენება წარმოადგენდა აწსუ-ს მნიშვნელოვან გამოწვევას 2018-2020 წლებში. ხარისხის მართვაში გამოყენებული PDCA-ციკლის მიდგომები მდგრადად დანერგილია უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულების - ფაკულტეტების დონეზე. ფაკულტეტებზე მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ყოველწლიურად შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმებს, რომელიც ეფუძნება სწორედ აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს, მასში მოცემულ პროცედურებს და მექანიზმებს. აღნიშნული კონკრეტული შემთხვევისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის pdca-ციკლი ეფუძნება დაგეგმვას (სამოქმედო გეგმები), განხორციელებას (შესაბამისი ამოცანების შესრულება), შემოწმებას (თვითშეფასება, ანგარიშგება ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის ხუს-ის წინაშე), შემდგომ გაუმჯობესებას (შემდგომი სამუშაობის დაგეგმვა შეფასების შედეგებიდან გამომდინარე).

ხუს მუდმივად ახორციელებს სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის მონაცემთა ანალიზს და შეფასებას. მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით უნივერსიტეტში ბოლო 2 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა გარე მობილობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.



ხუს-ის ინიციატივით, PDCA ციკლის მიდგომით გაუმჯობესდა სტიპენდიების დანიშვნის რეგულაცია. სტიპენდიის გაცემა დაგეგმილი იყო შესაბამისი რეგულაციების მიხედვით, თუმცა შემდგომში ხუს-ის ინიციატივით შეფასდა, თუ რამდენად ახდენდა სტიპენდიის დანიშვნა სტუდენტის მოტივაციას სწავლისა და სხვა კურიკულუმისგარეშე აქტივობების განხორციელებისათვის, გადამოწმდა გაცემული სტიპენდიების რაოდენობები, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და წარმატებული სტუდენტების ინტერვიურება, შეიცვალა სტიპენდიის გაცემის წესი და ამ წესის მოქმედების შედეგად გაზრდილია სტუდენტების კურიკულუმისგარე თუ სხვა აქტივობები, როგორიცაა: სამეცნიერო პიკნიკები, სტუდენტური კონფერენციები, სხვადასხვა სახის ტრენინგები, ტუტორობა და სხვა. ცვლილება განხორციელდა „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტში, რაც დაკავშირებული იყო სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობასთან; „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ” დოკუმენტს დაემატა მუხლი სადოქტორო ნაშრომის პლაგიატზე გატარების პროცედურის შესახებ და ა.შ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა არა ერთი სამუშაო შეხვედრა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან. საანგარიშო წლის განმავლობაში მათთან ერთად განიხილა ისეთი საკითხები, როგორიცაა ავტორიზაციის ანგარიშის მომზადება, ავტორიზაციის მონიტორინგისთვის მზადების პროცესი, პროგრამული აკრედიტაციები და მასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა/განხორციელება ფაკულტეტებზე მოქმედი პროგრამების მიხედვით, ტრენინგები პროგრამების ხელმძღვანელებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის დაკავშირებული აკრედიტაციის სტანდარტებთან, აკრედიტაციის პროცედურებთან, ახალი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანასთან, კვალიფიკაციის დონეების აღმწერთან, პროგრამის და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების დაწერასთან, პლაგიატთან და ა.შ. დაკავშირებით. ფაკულტეტების ხუს-ებთან შეხვედრებზე ასევე განიხილებოდა უნივერსიტეტში სწავლება/სწავლის პროცესებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.

შიდა მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს PDCA-ციკლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს, რომლის გამოყენებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს თავის საქმიანობას. აწსუ-ს ხელმძღვანელობა შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით და შეფასების შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

2019 წლის პირველ ნახევარში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ ლექტორ-მასწავლებელთა უმრავლესობა, თვითგანვითარებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევს კვალიფიკაციის ამაღლებას პროგრამაში და სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების გაწერა, კურიკულუმის რუკის შედგენა, კვალიფიკაციის განსაზღვრა ახალი კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფისათვის აწსუ ეფექტურად იყენებს შესაბამის ადამიანურ, საინფორმაციო და მატერიალურ რესურსებს. ადამიანური რესურსები წარმოდგენილია აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სახით. ამ კუთხით აღსანიშნავია აწსუ-ს აკადემიური პერსონალი, რომლებსაც გააჩნით განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსები, რომელთა შესაძლებლობა გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შემოწმებისათვის და აკადემიური პერსონალის ტრენინგებისათვის. მათ მიერ გადამოწმდა 2018 და 2019 წლებში აკრედიტაციაზე წარდგენილი 23 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან, კვალიფიკაციის დონეებთან შესაბამისობაზე.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გამოყენებული იყო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მუშაობის დროს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №62 (07.09.2018) სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. ავტორიზაციაზე წარდგენილი იყო 9 მოდულური პროფესიურლი საგანმანათლებლო პროგრამა. უსდ-მ გააგრძელა მუშაობა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიმართულებით და გამოიყენა რა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტებს წარმოადგენენ, გამოცდილებები, ავტორიზაციაზე წარადგინა და განხორციელების უფლება მოიპოვა კიდევ 9 მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური სტუდენტთა სტაჟირების პროგრამით და ტუტორების სერვისის ფორმირებით იყენებს სტუდენტების შესაძლებლობებს, რაც ემსახურება მათ პროფესიულ ზრდას.

უნივერსიტეტში, 2016 წლის სექტემბრიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დაარსდა ტუტორთა ინსტიტუტი, ხოლო 2018-2019 სასწავლო წლიდან ტუტორთა სერვისის განმახორციელებელი გახდა სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური. ტუტორთა სერვისის მიზანს წარმოადგენს:
- საუნივერსიტეტო სერვისების, უნივერსიტეტში არსებული სიახლეებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის პირველკურსელი სტუდენტების უნივერსიტეტის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრებისა და პრეზენტაციების მოწყობა, აგრეთვე მათი ტექნიკურ დეტალებზე კონსულტირება;

- სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროფილის ფორმირებაში დახმარებისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად ხელშეწყობის მიზნით სტუდენტთა კონსულტირება და ტექნიკური მხარდაჭერა;
- სტუდენტებთან გამოკითხვით გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე ყოველი სემესტრის დასაწყისში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებისა და პრეზენტაციების მოწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესში ადაპტირებისათვის ხელშეწყობა;
- უცხოელი სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა;
- ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა.

მიმდინარე ეტაპზე ტუტორთა ინსტიტუტში ჩართულია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 98-მდე სტუდენტი, მათ შორის 7 უცხოელი. https://atsu.edu.ge/index.php/tutoring-info თითოეულ ფაკულტეტზე სტუდენტთა კონსულტირების და დახმარების მიზნით საქმიანობას ეწევა 10-15 ტუტორი. ტუტორად შეირჩევა ფაკულტეტის დოქტორანტი, ან მაგისტრი, ან ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტი, რომელიც კომპეტენტურია სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში და აქვს სტუდენტებთან მუშაობის უნარი (https://atsu.edu.ge/index.php/news/1382-2019-2020-tutorta-registracia).



უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით ყოველწლიურად ცხადდება პროექტი სტუდენტებისათვის „მე უნივერსიტეტი“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტთა სხვადასხვა იდეა ხორცს ისხამს. პროექტის ძირითადი მიზანია აწსუ-ს განვითარებაში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება, მათი მოტივაციის ზრდა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც დგას უნივერსიტეტი. პროექტი, ასევე, ორიენტირებულია სტუდენტებში პროექტების მომზადებისა და მართვის, ლიდერული და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კორპორაციული კულტურის ამაღლებაზე. ასევე მნიშვნელოვანი იყო სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურში აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნა, რამაც ხელი შეუწყო კურდამთავრებულთა რეინტეგრაციასა და ჩართულობას უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო, სამეცნიერო და სოციალურ-კულტურული პროცესების დაგეგმვაში, განხორციელბასა და შეფასებაში, აგრეთვე უზრუნველყო მათ შორის ურთიერთკავშირების დამყარება და ახალი იდეების გაცვლა და გენერირება. აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელში შეიქმნა ელექტრონული ონლაინ პლატფორმა alumni.atsu.edu.ge, სადაც კურსდამთავრებულები გადიან რეგისტრაციას და ხდებიან კურსდამთავრებულთა ქსელის წევრები. ქსელში გაწევრიანებულია 400-მდე კურსდამთვრებული.

ადგილობრივი და საერთაშორისო შეფასების გამოკითხვების/შედეგების დასკვნების გათვალისწინებით აწსუ ახორციელებს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ჩატარდა და მიმდინარებს ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები როგორც აკადემიურ პერსონალთან, ისე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებთან პროფესიული განვითარებისთვის.

2019 წლის 11 და 12 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით გაიმართა სამუშაო შეხვედრა-ტრენინგი "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი", რომელსაც უძღვებოდა განათლების განვითრების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი, ქალბატონი თეა ნადირაძე. ტრენინგს ესწრებოდნენ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები და სპეციალისტები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით 2019 წლის 18-19 ივნისს, 3-4 სექტემბერს და 2020 წლის 31იანვარს და 1 თებერვალს ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება", რომელსაც ესწრებოდნენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსები და სპეციალისტები, მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი, ჰუმანიტარული, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა, საინჟინრო-ტექნიკური, საზღვაო-სატრანსპორტო და აგრარული ფაკულტეტების პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 2018 წლის დეკემბერში, გერმანიაში, ქალაქ ბერლინში ASIIN-ევროპის კერძო აკრედიტაციის სააგენტოს მიერ მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციაში "უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალი ერა - რას ველოდოთ მომავალში" და 2019 წლის მაისში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სამედიცინო სასწავლებლების აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სამედიცინო განათლების ექსპერტების და სხვა დაინტერესებული სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის ჩატარებულ AMEE-ESME-ის სასწავლო კურსი - ტრენინგზე, რომელსაც უძღვებოდა AMEE-ს დირექტორატის წევრი, სამედიცინო განათლების საკითხებში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კონსულტანტი, პროფესორი ტრევორ გიბსი. 24-28 აგვისტოს მედიცინის ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო AMEE 2019 კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა ავსტრიის ქალაქ ვენაში.

2019 წლის ოქტომბრიდან იანვრის ჩათვლით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყო მიმართულებების მიხედვით ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების, პროგრამების ხელმძღვანელების აქტიური ჩართვა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში თემებზე: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან", „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგია", „თვითშეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება", „დარგობრივი მახასიათებლების გამოყენება მედიცინის პროგრამების აკრედიტაციის დროს" (16 ტრენინგი).

აწსუ-ს უწყვეტი განათლების ტრენინგ-ცენტრში ადგილობრივი ტრენერების მიერ შექმნილია ტრენინგ მოდულები: „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - PBL", „შეფასების თანამედროვე მეთოდები სამედიცინო განათლებაში". მიმდინარე სასწავლო წელს აღნიშნული კურსი გაიარა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის უმეტესობამ.

ხუს-მა ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურთან ერთად დაგეგმა და განახორციელა პლაგიატთან დაკავშირებული ტრენინგები აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. ტრენინგების მიზანი იყო პლაგიატის, მისი ფორმების და უნივერსიტეტში პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების (აკადემიური საბჭოს დადგენილება №51(17/18) 9.02.2018) გაცნობა და ანტიპლაგიატის პროგრამაში Turnitin ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების დანერგვა.

EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა ითვალისწინებს აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისათვის, მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის განხორციელებას. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და ანალიზის წარმმართველ პირს/სტრუქტურას წარმოადგენს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი სრულდება რაოდენობრივი და

ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ის ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შემდეგი მონაცემების შეგროვებას: ჩატარებული გამოცდების რაოდენობა, გამოცდებზე დაშვებული სტუდენტების რაოდენობა, ECTS -ის მიხედვით მიღებული დადებითი და უარყოფითი შეფასებების მაჩვენებელი, დადებითი შეფასებების მაჩვენებელი ECTS -ის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების და სემესტრების მიხედვით და ა.შ. და ხდება მონაცემების შედარება წინა სემესტრების მაჩვენებლებთან, რათა დინამიკაში დავინახოთ ჰქონდა თუ არა აკადემიური მოსწრების რადიკალურ ცვლილებას ადგილი და განვსაზღვროთ მიზეზები. ფაკულტეტის ადმინისტრაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებსა და მის ანალიზს დადგენილი პერიოდულობითა და ვადებით (სასწავლო წლის მანძილზე 2-ჯერ, ზამთრის სემეტრისათვის - მარტი; ზაფხულის სემეტრისათვის - სექტემბერი) უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. მისი განხილვა ხდება ფაკულტეტის საბჭოზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა, რომლიც ითვალისწინებს აწსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირების გამოკითხვას, კერძოდ, ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების, ორ წელიწადში ერთხელ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. გამოკითხვებით მიღებული შედეგები და ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების პოლიტიკის გადახედვას და სრულყოფას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.

აღნიშნული პროცედურის განხორციელების საფუძველზე 2018 წლის სექტემბრიდან 2020 წლის 1 თებერვლამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკრედიტაციაზე წარდგენილი იყო 10 საბაკალავრო პროგრამა, 5 სამაგისტრო და 4 სადოქტორო პროგრამა, 3 ერთსაფეხურიანი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. აკრედიტებულია 8 საბაკალავრო, 2 სამაგისტრო, 3 სადოქტორო და ქართულ ენაში მომზადების პროგრამა. მათგან ახალია 3 საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“, „ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი“, „საშემსრულებლო ხელოვნება“, 3 სადოქტორო პროგრამა „ფილოლოგია“, „საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები“ და „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“. აღნიშნული პროგრამების აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში თვითშეფასების ჯგუფების მიერ გამოყენებული იყო ჩატარებული გამოკითხვების ანალიზის შედეგები.

2018 წელს უნივერსიტეტმა გაიარა გარე შეფასება-ავტორიზაცია და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №61, 7.09.2018 სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლით და განესაზღვრა მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარდგენისთვის 1 წელი, ხოლო ავტორიზაციის მე-6 სტანდარტთან შესაბამისობის გადამოწმებისთვის მონიტორინგი 2 წლის ვადაში.

გარე შეფასებით მიღებული რეკომენდაციების შესრულების პროცესში ჩართული იყო უნივერსიტეტის ყველა რგოლი - უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სამსახურების უფროსები, აკადემიური საბჭოს წევრები, ფაკულტეტების დეკანები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები. თვითშფასების ჯგუფის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი აქტივობები. უსდ-მ შეძლო ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულება და რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარდგენილი ანგარიში 2019 წლის 28 ოქტომბერს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო ცნობად.

გარე შეფასების ინსტრუმენტებს უსდ აქტიურად იყენებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესშიც, რაც დაკავშირებულია პროცედურით გათვალისწინებული „ორმაგი ექსპერტიზის“ დროს სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტებში გარე შემფასებლებთან თანამშრომლობასთან. დარგის სპეციალისტების მიერ გაცემული გარე შეფასებები რეკომენდაციების/რჩევების სახით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესს. გარე შეფასების გამოყენებით აწსუ-მ 2018 და 2019 წლებში აკრედიტაციაზე წარადგინა 10 საბაკალავრო პროგრამა, 5 სამაგისტრო და 4 სადოქტორო პროგრამა, 3 ერთსაფეხურიანი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულ ენაში მომზადების

საგანმანათლებლო პროგრამა. გარე შეფასების ინსტრუმენტებს იყენებს 2020 წელს აკრედიტაციაზე წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისთვისაც.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №61, 07.09.2018 აწსუ-ს მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 12000-ით, ხოლო იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით №62 აწსუ-ს მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 364-ით.

აწსუ-ში მოქმედი სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით უნივერსიტეტში ფაკულტეტებს ენიჭებათ მაქსიმალური თავისუფლება თავად განსაზღვრონ სტუდენტთა ოდენობა ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის (ბაკალავრიატი, ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, პროფესიული, ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების 1 წლიანი პროგრამა) მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო წლის მიხედვით და შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

- ✓ მოცემულ პროგრამაზე უკანასკნელი არანაკლებ 5 წლის მონაცემების დინამიკური ანალიზი;
- ✓ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით ჩატარებული ბაზრის კვლევები, რომლებიც ხორციელდება გარკვეული პერიოდულობით, განსაკუთრებით ახალი პროგრამის ინიცირების ან არსებულში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის დროს;
- ✓ შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზები;
- ✓ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის და/ან მისი ცალკეული კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინება;
- ✓ პროგრამის უზრუნველყოფა ადამიანური და მატერიალური რესურსების მდგომარეობის, სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობისა და გამართულობის, ფინანსური მდგრადობის კუთხით;
- ✓ უნივერსიტეტის ინტერესის, სამომავლო პერსპექტივების, გარემოში (მ.შ. ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე) გამოკვეთილი ტენდენციებისა და უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინება და ა.შ.

სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობის გაზრდა დამოკიდებულია ცალკეულ პროგრამაზე მომართვიანობის და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის მატებაზე, ხოლო შემცირება - პროგრამაზე სტუდენტების მომართვიანობის მაჩვენებლის სისტემატურ კლებაზე, რასაც შეიძლება მოჰყვეს საგანმანათლებლო პროგრამის შეჩერება.

უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის ადამიანური, მატერიალური რესურსებით და ინფრასტრუქტურით უზრუნველლყოფას.

საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- QA-პოლიტიკები
- წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №174, 28.02.2018 „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის პრინციპების განსაზღვრის შესახებ“

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია;
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები;
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

აღწერა და შეფასება

აწსუ-ს მიზანია უზრუნველყოს კვლევით და სასწავლო საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა, ამისთვის შემუშავებული და დანერგილი აქვს ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსები.

2016 წლის 23 თებერვალს აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს უნივერსიტეტში სტუდენტებისა და პერსონალისთვის ქცევის სავალდებულო ნორმებს, მათი დარღვევის გამო დისციპლინური გადაცდომის პირობებსა და დისციპლინური წარმოების პროცედურებსა და წესებს. იგი ეფუძნება აკადემიური თავისუფლების პრინციპს და მომზადდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, უნივერსიტეტის წესდების და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. ეთიკის კოდექსი ვრცელდება უნივერსიტეტის სტუდენტებზე, აკადემიურ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალზე, სასწავლო ან/და სამეცნიერო კვლევით პროცესში ჩართულ მოწვეულ სპეციალისტებზე, მასწავლებლებზე. ის აწესრიგებს მათი ქცევის წესებს უნივერსიტეტში სწავლის და მოღვაწეობის მთელი პერიოდისათვის, ასევე არეგულირებს ეთიკის ნორმების დარღვევას და შესაბამის დისციპლინურ საქმისწარმოებას.

2018 წლის 9 თებერვალს აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა (დადგენილება #51(17/18)) აწსუ-ს აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსი. აღნიშნული დოკუმენტი აწსუ-ს იმ ფართო პოლიტიკის ნაწილია, რომელიც მიმართულია პლაგიატისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის სხვა ფორმების პრევენციისა და მართვისკენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებში, რაც ამცირებს სამართლებრივ რისკებს უნივერსიტეტისათვის. აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფორმები განსაზღვრულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით და მოიცავს შემდეგს: პლაგიატი, თვითპლაგიატი და ფალსიფიკაცია. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის სხვა ფორმებს კი მიეკუთვნება: გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან; სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა; სხვა სტუდენტისათვის/აკადემიური პერსონალისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა; ინდივიდუალური ნამუშევრის ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული ნამუშევრის ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა; სხვის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად; გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და/ან გავრცელება.

ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში დისციპლინურ საქმეს განიხილავს ეთიკის კომისია, რომელიც 5 წევრისგან შედგება. კომისიის წევრებს ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და სტუდენტური თვითმმართველობა. კომისიის წევრების არჩევა ხდება 2 წლის ვადით. ეთიკის კომისიის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. ეთიკის კოდექსში განსაზღვრული კომისიის საქმიანობის პრინციპები, თავმჯდომარისა და მდივანის ფუნქცია-მოვალეობები, საქმიანობისა და დისციპლინური საქმის განხილვის ადგილი, ფარგლები და ვადები, დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძვლები, დისციპლინური საქმისწარმოების პროცედურები(დაწყებული წერილობითი სახით საჩივრის მიღებიდან დასრულებული განხილვის შემდეგ გადაწყვეტილების მიღებით).

ეთიკის კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ფლობს უნივერსიტეტის სტუდენტები და პერსონალი, რაც დასტურდება კომისიის მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში განხილული 8 საქმით. ამ საქმეებს შორის: 2 განცხადება ეთიკის კომისიაში გაკეთდა სტუდენტების მიერ და ორივე დაკავშირებული იყო სტუდენტსა და ლექტორს/ ადმინისტრაციის წარმომადგენელს შორის წარმოშობილ კონფლიქტთან. 2 საქმე დაკავშირებული იყო საავტორო უფლებების დარღვევასთან, 2 განაცხადი შეეხებოდა უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მიერ ერთობლივი კვლევითი პროექტის ეთიკურობის, კვლევის გეგმის სამეცნიერო ღირებულებებისა და ნაციონალურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღებას. ეთიკის კომისიამ ასევე განიხილა საკითხი ბიოლოგიის დეპარტამენტის ლაბორატორიებში ცხოველებზე ექსპერიმენტის ჩატარებისა და ადამიანზე, როგორც სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ობიექტზე, დაკვირვების წესის, (საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, 10/12/1997 № 1139-Iს, თავი XIX „სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევა“, მუხლი 105, მუხლი 106, მუხლი 108, მუხლი 109-ის შესაბამისად), უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში დამატების შესახებ.

დისციპლინული გადაცდომებისა და აკადემიური არაკეთილსინდისიერების (განსაკუთრებით პლაგიატის) თავიდან აცილების მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული დოკუმენტების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, რისთისაც:

- დოკუმენტები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფებზე;

- პლაგიატთან და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდის მიზნით ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და ტუტორები მართავენ შეხვედრებს, რომლებზეც ხდება აღნიშნულ დოკუმენტების განხილვა;
- უნივერსიტეტში სისტემატურად ეწყობა დისკუსიები და საინფორმაციო შეხვედრები, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მოღვაწეობისა და სტუდენტების სწავლის პროცესის მოწესრიგებას. რაც დასტურდება ეთიკური ნორმების დარღვევათა სიმცირით.

ამ მხრივ აღსანიშნავია, 2019 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურების მიერ ფაკულტეტების აკადემიურ პერსონალთან და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებთან გამართული შეხვედრები, რომლებიც ემსახურებოდა პლაგიატთან და რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მონაცემების მიწოდებას და ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდას.

ეთიკის კომისიასთან ერთად უნივერსიტეტში სტუდენტებისა და პერსონალის უფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების დაცვას ემსახურება ომბუდსმენის ოფისი (https://atsu.edu.ge/index.php/students-ombudsman-info), რომელიც უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2018 წლიდან და წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს. ომბუდსმენის ოფისი შეიქმნა Erasmus+ პროექტის AESOP-ის (Advocacy Establishment for Students through Ombudsman Position 561640-EPP-1-2015-1-AZ-EPPKA2-CBHE-JP; 2016-2019) ინსტიტუციური განვითარების პროექტის ფარგლებში.

ომბუდსმენი თავისუფალი და დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, რომელსაც სამი ძირითადი პრინციპის დაცვით - კონფიდენციალურობა, დამოუკიდებლობა და ნეიტრალიტეტი- ახორციელებს. ომბუდსმენის ოფისთან კომუნიკაცია ეფექტურია, რადგან მიმართვის შესაძლებლობა არის მარტივი და ადვილი.

ომბუდსმენის ოფისის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიწოდებულია უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის, რაც ოფისის მიერ სტუდენტებთან, ტუტორებთან, თვითმმართველობასთან, სხვადასხვა სტრუდენტურ ჯგუფებთან და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან დაგეგმილი და განხორციელებული ინტენსიური შეხვედრების შედეგია.

ომბუდსმენის ოფისის მუშაობის ორწლიანმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ მომართვათა უმრავლესობა იურიდიულ თუ სხვა სახის რჩევის გაცემასთან არის დაკავშირებული. ამ ხნის მანძილზე ომბუდსმენის ოფისში დაფიქსირებულია 53 მომართვის ფაქტი, რომლებიც დაიყო ორ კატეგორიად: ზეპირი მომართვა, რომელიც სამართლებრივი, თუ სხვა სახის რჩევის მიღების თხოვნას წარმოადგენდა, და წერილობითი მომართვა, სადაც პრობლემა ვრცლად იყო აღწერილი და მისი მოგვარება რჩევის გარდა ომბუდსმენის სხვაგვარ ჩარევას მოითხოვდა. ოფისში ზეპირი მომართვის (პირადად თუ ტელეფონის საშუალებით) ფაქტები (სულ 41) ბევრად აღემატება წერილობითს (12 შემთხვევა). დაფიქსირებული ფაქტებიდან: 7 შემთხვევაში ითხოვდნენ დახმარებას უნივერსიტეტის სტრუქტურებში მოქმედების წესებში გასარკვევად; 9 -ს ესაჭიროებოდა შუამავალი კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად; 14 შემთხვევაში ომბუდსმენმა შეასრულა წარმომადგენლის ფუნქციები სტუდენტსა და უნივერსიტეტის სხვადასხვა ერთეულებთან ურთიერთობაში; 23-მა მიიღო სამართლებრივი სახის რჩევები.



საერთო პრობლემის წამოჭრისას ომბუდსმენს დახმარებისთვის მიმართავს სტუდენტების ჯგუფი. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2020 წლის იანვარში მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტების მომართვა დახმარების თხოვნით. ომბუდსმენის ოფისმა ჩაატარა შიდა საუნივერსიტეტო კვლევა, ითანამშრომლა საქმეში ჩართულ ყველა რგოლთან და გატარებული ღონისძიებების შედეგად, აღნიშნული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილება იქნა მიღებული, 09.01.2020 წლის მედიცინის ფაკულტეტის სხდომის დადგენილების საფუძველზე.

აკადემიური ომბუდსმენის მიერ განხილული ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია და ნებისმიერი დეტალი ყურადღებით მიდგომას საჭიროებს.

უნივერსიტეტი სათანადო რეგულაციებით, მექანიზმებით, საინფორმაციო კამპანიით და სხვა საშუალებებით ხელს უწყობს პლაგიატის თავიდან აცილებას და პლაგიატის ფაქტების გამოვლენას, მათ შორის:

- სტუდენტები (მათ შორის დოქტორანტებიც) და აკადემიური პერსონალი პლაგიატის საწინააღმდეგო წესების შესახებ ინფორმაციას იღებენ: სილაბუსებიდან (სადაც შეფასების ერთ-ერთი ფორმაა რეფერატის ან პრეზენტაციის მომზადება); აკადემიური წერის კურსიდან; სტუდენტთა გარკვეული ჯგუფები ბიოეთიკის, სამედიცინო ეთიკის კურსებიდან; სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესიდან; სადისერტაციო საბჭოს დებულებიდან; უნივერსიტეტის წესდებიდან; ეთიკის კოდექსიდან; აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსიდან და სხვა.
- უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის ეწყობა საუდიტორიო, ინტერდისციპლინური დისკუსიები, ტრენინგები პლაგიატის, პლაგიატის სახეებისა და შემთხვევების შესახებ.
- უნივერსიტეტში სტუდენტებთან მიმართებით, პლაგიატზე რეაგირების ისეთი მექანიზმები გამოიყენება, როგორიცა: სიტყვიერი გაფრთხილება, ნიშნის დაკლება, ჩაჭრა, სამაგისტრო ნაშრომის, რეფერატის, პრეზენტაციის უარყოფითი შეფასება და სხვა;
- უნივერსიტეტში შექმნილია სადისერტაციო ნაშრომების შიდა ბაზები და გამოქვეყნებულია ვებგვერდზე; სამუშაო პროცესშია სამაგისტრო, აკადემიური პერსონალის ნაშრომების შიდა ბაზების მომზადება, რაც ასევე განთავსდება ვებგვერდზე;

ამის საფუძველზე, Erasmus+ პროექტ INTEGRITY (აკადემიური კეთილსინდისიერება), რომლის მიზანია ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას, აღმოფხვრასა და პრევენციას.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2018-2019 სასწავლო წელს აწსუ-ში დაიწყო სტუდენტების მიერ შესრულებული წერითი დავალებების (სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ ფარგლებში), სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების გატარება ანტიპლაგიატის „Turnitin” პროგრამაში, რითაც აწსუ-მ დაიწყო კვლევით და სასწავლო საქმიანობაში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის კულტურის ამაღლება. 2018-2019 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში ანტიპლაგიატის „Turnitin” პროგრამაში შემოწმდა სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ ფარგლებში შესრულებული წერითი დავალება. პროცესში ჩართული იყო 6

ფაკულტეტის 920 სტუდენტი. 2019 წლის საგაზაფხულო სემესტრში განხორციელდა სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატის აღმომჩენ პროგრამა Turnitin-ში გატარება. აღნიშნულ პროცესში ჩართული იყო 6 ფაკულტეტი: აგრარული ფაკულტეტი, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, პედაგოგიური ფაკულტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი. შემოწმდა 213 სამაგისტრო ნაშრომი. განსაკუთრებით აქტიურად ამ პროცესში ჩართული იყო ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებთა ფაკულტეტის სტუდენტები (საერთო რაოდენობის 50%).

გრაფიკებზე მოცემულია პლაგიატზე სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების შედეგები: X ღერძზე მოცემულია ნაშრომებში დაფიქსირებული პლაგიატის მაჩვენებელი; Y ღერძზე კი სტუდენტების რაოდენობა, რომელთა ნაშრომებში დაფიქსირდა პლაგიატი.













2018-2019 სასწავლო წლის ბოლოს პლაგიატზე შემოწმდა 6 სადოქტორო ნაშრომი.

2019 წლის საგაზაფხულო სემესტრში ანტიპლაგიატის „Turnitin" პროგრამაში შემოწმდა სტუდენტური კონფერენციისთვის მომზადებული თემები. ფაკულტეტების მიხედვით შეირჩა დაახლოებით 40 ნაშრომი და შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაცია მიწოდებულ იქნა შესაბამისი ფაკულტეტებისთვის.

ანტიპლაგიატის „Turnitin" პროგრამაში წერითი დავალებების, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების გატარებას წინ უძღოდა ტრენინგები პლაგიატის გამოვლენის მექანიზმების შესახებ და დავალებების „Turnitin" პროგრამაში შემოწმების მექანიზმებთან დაკავშირებით, რომელიც ორგანიზებული იყო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურების მიერ. გადამზადდა 122 აკადემიური პერსონალი (https://atsu.edu.ge/index.php/fa-news-geo)

2019-2020 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში ანტიპლაგიატის „Turnitin" პროგრამაში შემოწმდა ბაკალავრის საფეხურზე სასწავლო კურსის „აკადემიური წერა" ფარგლებში შესრულებული წერითი დავალება და მაგისტრატურის საფეხურზე პირველ და მესამე სემესტრებში იმ სასწავლო კურსების წერით დავალებები, რომელთა შესრულებას ითვალისწინებდა სილაბუსი სტუდენტის შეფასების აქტივობის კომპონენტში. ამ პროცესში მონაწილეობა მიიღო 53 პედაგოგმა, დარეგისტრირებულ იყო 1293 სტუდენტი, აქედან, ანტიპლაგიატის „Turnitin" პროგრამაში გატარდა 1186 სტუდენტის ნაშრომი. მათ შორის, 851 ბაკალავრის და 335 მაგისტრატურის საფეხურის.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის მარეგულირებელ აქტ(ებ)ში დეკლარირებულია აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვა.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, მკვლევარები და სტუდენტები იცნობენ და იზიარებენ აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. ისინი სრულიად თავისუფალნი არიან საკუთარი სამეცნიერო-აკადემიური პროფილის ფორმირებასა და განვითარებაში, სწავლება/სწავლის პროცესის დროს ახალი ცოდნის შექმნაში, საზოგადოებაში მისი ღია განხილვისა და გავრცელებისათვის შესაძლებლობების ძიებაში.

ეთიკის კოდექსი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებას, მათ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში, თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №61 - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ

- აკადემიური საბჭოს დადგენილება №51(17/18) 9.02.2018 აკაკი წერეთლის აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსის დამტკიცების შესახებ
- აკადემიური საბჭოს დადგენილება №48(18/19) 31.05.2019 – „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭის 2018 წლის 1 მარტის №62(17/18) ცვლილების შეტანის თაობაზე.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია და სისტემა - ჩამოყალიბებულია, გაწერილია, დანერგილია და ციკლური შეფასების პროცესშია;
- დეკლარირებული და გაზიარებულია მართვის პრინციპები და მათი დანერგვის მეთოდოლოგია. მიმდინარეობს ამ მეთოდოლოგიის გამოყენებით მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- ინსტიტუციაში ძირითადი პროცესები იმართება განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობით პოლიტიკების, პროცედურების, წესებისა და ინსტრუქციების მიხედვით და ისინი დაფუძნებულია PDCA ციკლზე;
- მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი;
- უსდ-ის მართვაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ზრდა, განსაკუთრებით ფორსმაჟორული სიტუაციებში მართვის მოქნილობის უზრუნველყოფით.
- დაცულია აკადემიური თავისუფლების პრინციპები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ყველა რგოლის ჩართულობა;
- უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვის მექანიზმების მრავალფეროვნება;
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;

გასაუმჯობესებელი მხარეები

პლაგიატის პრევენციის მიზნით აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1. კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას;
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა;
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

აღწერა და შეფასება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისიიდან გამომდინარე, როგორც მრავალპროფილური უმაღლესი სასწავლო დაწესებულება – საგანმანათლებლო, კვლევითი და ბიზნეს პროცესების ერთიანობისა და ხარისხის უზრუნველყოფით, ისწრაფვის აღზარდოს პროფესიონალები. შესაბამისად, იგი ხელს უწყობს სწავლების, კვლევის ინტეგრირებას და თანამშრომლობს ეკონომიკურ აგენტებთან; უნივერსიტეტი ახორციელებს ისეთ საქმიანობას კვლევისა და განვითარების სფეროში, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ და სხვა სახის ინოვაციურ განვითარებას;

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას არეგულირებს კვლევის განვითარების პოლიტიკა და კვლევის განვითარების სტრატეგია.

კვლევის განვითარების პოლიტიკა განმარტავს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებულ ზოგად მიდგომებსა და პრინციპებს. იგი შემუშავდა 2018 წელს და მის მიზანს წარმოადგენს, უნივერსიტეტის ეგიდით, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ განხორციელებულ ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევასთან დაკავშირებით მოლოდინების და ჩარჩო მიდგომების განსაზღვრა, კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასება და გაუმჯობესება. კვლევის განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე და მისი განხორციელების შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ხოლო კვლევის განვითარების პოლიტიკის იმპლემენტაციას, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებს კოორდინირებას უწევს სათათბირო ორგანო - უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო.

კვლევის განვითარების პოლიტიკით განსაზღვრულია, რომ უნივერსიტეტი მოწოდებულია წარმატებულად განახორციელოს კვლევითი საქმიანობა, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნასა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების პროცესის ეფექტიანი წარმართვა, რისთვისაც მზად არის კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში დანერგოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მიდგომები. კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას აკადემიური თავისუფლება განიხილება, როგორც უნივერსიტეტის ვალდებულება, დანერგოს იმგვარი მიდგომები და მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის აკადემიური და სტუდენტური კონტინგენტის უფლებას თავისუფლად და სხვა პირების გავლენის გარეშე ეწეოდეს შემოქმედებით და კვლევით საქმიანობას.

კვლევითი საქმიანობა განიხილება, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ეფექტიანი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის, რეგიონის და ქვეყნის განვითარებასა და საზოგადოების წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემების გადაჭრას.

უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე მიიჩნევა, რომ საერთაშორისო დონის კვლევითი საქმიანობის წარმართვისათვის, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნასა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესში კვლევის კომპონენტის ეფექტიანი ჩართვისათვის აუცილებელია სხვა უნივერსიტეტთან, კვლევით, სახელმწიფო, საერთაშორისო და კერძო სექტორის ფართო ჩართულობა და ურთიერთთანამშრომლობა.

კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია განიხილება როგორც ცოდნისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცვლის, აგრეთვე ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების ეფექტიანი ინსტრუმენტი. შესაბამისი მიდგომებისა და სამუშაო პროცესში მერიტოკრატიის

დანერგვით უზრუნველყოფილი იქნება, რომ კვლევით საქმიანობაში ჩართული პირები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას:

- იქნებიან ტოლერანტული სხვათა აზრების, რწმენისა და ღირებულებების მიმართ;
- უზრუნველყოფენ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას, აგრეთვე ხელს უწყობენ პლაგიატის პრევენციას, გამოვლინებასა და მართვას;
- იქნებიან პატიოსანნი, სამართლიანნი და ანგარიშვალდებულნი, როგორც საკუთარ, ასევე სხვათა მიერ განხორციელებულ კვლევით პროცესში ჩართული პირების, მათ შორის სტუდენტების მიმართ;
- სამუშაოს განხორციელებისას უზრუნველყოფენ გუნდურ მუშაობას;
- გაუფრთხილდებიან და დაიცავენ გარემოსა და ბუნებას, აგრეთვე უნივერსიტეტის ქონებას.

კვლევის განვითარების სტრატეგია წარმოადგენს უნივერსიტეტის საშუალოვადიან ხედვას კვლევის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ. იგი შემუშავდა 2019 წელს კვლევის პროცესის მონიტორინგის შედეგად მიღებული გამოცდილების ანალიზის, უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული გეგმის გათვალისწინებით. დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული იყვნენ როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, ასევე სათათბირო ორგანო - უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტის კვლევის სტრატეგია წარმოადგენს იმ ხედვასა და განაცხადს, თუ როგორ წარმოუდგენია დაწესებულებას კვლევის განვითარება ინსტიტუციაში. ასევე ასახავს იმ პოლიტიკასა და მიდგომებს, რომელიც კვლევის განვითარების თვალსაზრისით აწსუ-ში მიმდინარეობს.

კვლევის განვითარების სტრატეგიის მიხედვით უნივერსიტეტის მიმდინარე კვლევითი პრიორიტეტებია **რეგიონული და ინტერდისციპლინური კვლევების** განხორციელება, კვლევის შედეგების სრულფასოვანი ინტეგრირება სწავლება/სწავლის პროცესში, რისი წარმატებით რეალიზებისთვის უსდ მოწოდებულია ითანამშრომლოს ადგილობრივ (ქართული უნივერსიტეტები, საჯარო სექტორი, ბიზნეს-ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი, კერძო პირები) და საერთაშორისო (პარტნიორი უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, საუნივერსიტეტო გაერთიანებები და ა.შ.) პარტნიორებთან.

დეცენტრალიზაციის ფარგლებში ფაკულტეტი აყალიბებს კვლევით პროფილს, აწარმოებს ფუნდამენტურ, გამოყენებით და შემოქმედებით კვლევებს, აფუძნებს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებს, იღებს გადაწყვეტილებას როგორც ფაკულტეტს შიგნით, ასევე ფაკულტეტთაშორისი კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ, ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს კვლევების წარმართვაში (მიზნობრივი დაფინანსებით, სამეცნიერო სტატიების მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნების ხელშეწყობითა და მოტივაციით, შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსების ორგანიზებით, ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენით, საერთაშორისო კონფერენციებზე მივლინებით, სახელმძღვანელოების გამოცემით, კონფერენციების მოწყობით, მკვლევარების ფულადი და არაფულადი ფორმით მხარდაჭერით და ა.შ.) და ახალისებს სტუდენტთა ჩართულობას კვლევით პროექტებში.

დეცენტრალიზაციის პარალელურად, უნივერსიტეტი ახორციელებს კვლევის განვითარების **სისტემურ ხელშეწყობას** კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის დაფუძნებით, ინტერნაციონალიზაციისა და ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობით, მიზნობრივი დაფინანსებითა და ინოვაციური კვლევებისა და კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერით, რითაც ქმნის პოზიტიურ ორგანიზაციულ კლიმატს უნივერსიტეტში.

კვლევის განვითარების სტრატეგიის განხორციელების შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ხოლო იმპლემენტაციას, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებს კოორდინირებას უწევს სათათბირო ორგანო - უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო.

უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები სრულდება ფაკულტეტებზე არსებულ დეპარტამენტებში და სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში. 2012 წლიდან უნივერსიტეტში შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის მიზანი იყო, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ინტეგრაციის ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევების შედეგების დეპონირების, დაპატენტების, კომერციალიზაციის და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა.

უნივერსიტეტის მიერ საკუთარი საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების ობიექტური და გამჭვირვალე შეფასებისა და მართვის სისტემის ოპტიმიზაციის (დეცენტრალიზაციის პოლიტიკის გატარების) შედეგად დღის წესრიგში დადგა ისეთი სტრუქტურული ერთეულის შექმნის საკითხი, რომელიც უნივერსიტეტში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ხელს შეუწყობდა საუნივერსიტეტო დონეზე სამეცნიერო-კვლევითი საქმინობის განვითარების ხელშეწყობასა და კოორდინაციას. წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 6 ივლისის დადგენილებით მოხდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რეორგანიზაცია და იგი გარდაიქმნა კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრად (შემდგომში - „ცენტრი“).

ცენტრი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში არსებულ კვლევითი პროცესების მხარდაჭერას, კერძოდ: გრანტების მოძიებას, ინტელექტუალური საკუთრების მართვა-ხელშეწყობას, ახალგაზრდა მკვლევართა მხარდაჭერას, შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი პროცესების ხელშეწყობას, ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობასა და კვლევითი საქმიანობის შესახებ შიდასაინფორმაციო ბაზის შექმნას.

კვლევის განვითარების პროცესის მონიტორინგის ეფექტური განხორციელების მიზნით, ცენტრმა 2018, 2019 და 2020 წლებში **განახორციელა შემდეგი აქტივობები:**

- შემუშავდა ცენტრის 2018-2019 და 2019-2020 სასაწავლო წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასა და კვლევის პოლიტიკას;
- ცენტრმა ორგანიზება გაუწია კვლევის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას;
- ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა - ცენტრმა შეისწავლა აწსუს აკადემიური პერსონალის რეზიუმეები და გაანალიზა სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების მაჩვენებლები სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით. კერძოდ, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების მაჩვენებელი და ზოგადად გამოქვეყნების მიხედვით არსებული ტენდენციები (ქვეყანა, წელი, გამოქვეყნების ენა, ჟურნალის სტატუსი და ა.შ.);
- დამუშავდა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ფონდების დაფინანსებით მოპოვებული კვლევითი გრანტებისა და პროექტების სტატისტიკური მაჩვენებელი და მათი კომერციალიზაციის პოტენციალი;
- კვლევის შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების შეჯერების მიზნით ცენტრმა ჩაატარა შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან ფაკულტეტებზე. ფოკუს ჯგუფების მიზანი იყო აკადემიური პერსონალის საჭიროებების შესწავლა და მათი მოსაზრებების აღწერა სამეცნიერო ბაზების, სტატიების გამოქვეყნების, გრანტების მოპოვებისა და ფაკულტეტებზე არსებული სამეცნიერო ჟურნალების განვითარების მიმართულებით.
- 2019 წლის ივლისის თვიდან ცენტრმა დაიწყო აკადემიური პერსონალის გამოკითხვა კვლევის პროცესის განვითარების, არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების შესწავლის მიზნით. გამოკითხვა მიმდინარეობდა ონლაინ ფორმატში და მისი მიზანი იყო რაოდენობრივი მონაცემების მოპოვება უნივერსიტეტში კვლევის პროცესის მიმდინარეობის შესახებ.
- ცენტრმა დაგეგმა და განახორციელა ვორქშოპები ფაკულტეტებზე აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით;
- მონაცემების დამუშავების შემდეგ ცენტრმა ჩაატარა შეხვედრები ყველა ფაკულტეტზე, აკადემიურ პერსონალთან და მისცა მათ უკუკავშირი გამოვლენილი საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების შესახებ;
- ცენტრმა მოამზადა ერთიანი ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ, სადაც ასახული იყო როგორც არსებული გამოწვევები, ასევე რეკომენდაციები მათი გადაჭრის კუთხით და წარუდგინა მართვის ორგანოებს.

ცენტრის მიერ საინფორმაციო ბაზის, ასევე გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფებისაგან მიღებული მონაცემები გაერთიანდა საერთო ანგარიშში, რომელიც წარედგინა უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს. აღნიშნულ ანგარიშში გამოკვეთილი იქნა როგორც მიღწეული წარმატებები, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები და რეკომენდაციები იმ აუცილებელი აქტივობების შესახებ, რაც მნიშვნელოვანი იქნება კვლევის განვითარების პროცესის მონიტორინგის მუდმივი წარმართვისა და ერთიანი სისტემის დანერგვის თვალსაზრისით. საჭიროებები იდენტიფიცირდა როგორც მაღალი, საშუალო და დაბალი. გაიცა რეკომენდაციებიც აღნიშნული კლასიფიკატორის შესაბამისად.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მომზადდა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულება და მისი საქმიანობის შეფასების წესი, რაც ფაკულტეტებს საშუალებას აძლევს, დაგეგმოს,

განახორციელოს, შეაფასოს და გააუმჯობესოს კვლევითი საქმიანობა. ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შექმნის შესახებ დადგენილება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ 2017 წლის 2 თებერვალს მიიღო. ამ დადგენილების მიხედვით, ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შექმნით უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროფილის ფორმირების ხელშეწყობას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომ გაღრმავებას, კვლევითი პროექტების შემუშავებას წინასწარ შეთანხმებული მიმართულებით, სტუდენტთა ჩართულობის ამაღლებას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და მიღწეული შედეგების სასწავლო პროცესში მაქსიმალური ინტეგრირების მხარდაჭერას.

ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეული ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით უფლებამოსილია განახორციელოს: ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები; საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კონფერენციებისა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება; საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა; საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა; ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში, აგრეთვე, სტუდენტთა მიერ კვლევითი ხასიათის ნაშრომების შესრულებაში მონაწილეობა; სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებში, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა.

ამჟამად, უნივერსიტეტში კვლევით საქმიანობას ახორციელებს შემდეგი კვლევითი ერთეულები:

- ქართველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი;
- აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი
- ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი - „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“.

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი შეიქმნა 2017 წლის მაისში და მუშაობს ორი ძირითადი ქვემიმართულებით: ქართველური დიალექტოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესწავლა; უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა. ცენტრს ემსახურება 4 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 დოქტორანტი.

აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი მუშაობს თემაზე: ბიო-ეკოლოგიური მეთოდების გამოყენება ციტრუსოვანთა ჰიბრიდულ ნათესარებში და მათგან პერსპექტიული ფორმების გამორჩევა. ცენტრს ემსახურება 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი; 3 ემერეტუსი; 3 ტექნიკური პერსონალი. კვლევა ხორციელდება აგრარული ფაკულტეტის ციტრუსოვან მცენარეთა სადემონსტრაციო ნაკვეთზე.

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი - „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“ შეიქმნა 2019 წელს. ცენტრის მიზანია ფაკულტეტის სამეცნირო-კვლევითი პროფილის ფორმირების გაღრმავება: შესაბამისი ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების განხორციელების, მათი საერთაშორისო მოთხოვნებთან დაახლოების ზრდის ხელშეწყობა, სტუდენტებში მეცნიერების პოპულარიზაცია და სამეცნიერო-კვლევის ინტერესის გაღვივება და ხელშეწყობა.

როგორც აღინიშნა, უნივერსიტეტის კვლევითი პროფილის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ინტერდისციპლინური კვლევები. აღნიშნული კუთხით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, გადაიდგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც ქმნის საფუძველს, ამ მიმართულებით პროცესების შემდგომი განვითარებისა. კერძოდ:

ა) 2018 წელს, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ, დაფინანსდა შიდასაფაკულტეტო საგრანტო პროექტი: „დოქტორანტთა და მაგისტრანტთა ინტერდისციპლინური კლასტერის - „სამართალი, სახელმწიფო, პოლიტიკა, ეკონომიკა“ - დაფუძნებისთვის მოსამზადებელი პროექტი“.

ცნობილია, რომ კვლევითი კლასტერები წარმოადგენენ ისეთ ახალ აკადემიურ ორგანიზაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს მაღალ-რეიტინგულ აკადემიურ პერსონალს და გამორჩეულ სტუდენტებს (დოქტორანტებს, მაგისტრანტებს), რომლებიც თავის კვლევებს აფუძნებენ საზოგადოებრივ და აკადემიურ რელევანტობას. კლასტერში, კვლევისა და სწავლებისათვის, განსაზღვრულია ე.წ. ქოლგა-თემა ან თემები,

რომელთა განხორციელებაში თანაბარღირებულ მონაწილეობას მიიღებენ როგორც მკვლევარ-პროფესორები, ისე სტუდენტები. კლასტერი წარმოადგენს პარტნიორობისა და კოლაბორაციის პრინციპის რეალიზებას როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ მონათესავე სამეცნიერო სუბიექტებთან, ასევე უცხოურ სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებთან. შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევით პროცესში განსაზღვრულია როგორც რეგიონული, ისე უცხოელი პარტნიორების ჩართულობა.

კვლევის შედეგები დაინერგება უსდ-ების სასწავლო პროცესში. კლასტერის მხარდაჭერით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ა) ქართველი და უცხოელი პროფესორების მიერ სემინარების, ვორქშოპების და ბლოკ-სემინარების ჩატარება; ბ) სამუშაო შეხვედრები კლასტერის სტრუქტურის განსაზღვრისათვის; გ) სამუშაო შეხვედრების ჩატარება კლასტერის ქოლგა-თემების იდენტიფიცირების მიზნით; დ) პარტნიორობისა და კოლაბორაციისათვის კლასტერის იდეის განხილვა რამდენიმე უცხოურ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრთან (ფრიბურგის უნივერსიტეტის ფედერალიზაციის ინსტიტუტი (შვეიცარია), კარდინალ ვიჟინსკის სახელობის უნივერსიტეტი (პოლონეთი) და რამდენიმე ქართულ უნივერსიტეტთან, ე) ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების განვითარებისათვის ღონისძიებების განსაზღვრა და სტრუქტურული ჩარჩოების შექმნა.

პროექტის მხარდამჭერი იყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია და ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“.

გარდა ამისა, პირველად უნივერსიტეტის ისტორიაში, შედგა საფაკულტეტთაშორისო კვლევითი თანამშრომლობა, რომელიც რეალიზდა პროექტში: „შრომითი რესურსის რეაბილიტაციის, პოპულაციის ჯანმრთელობასა და პაციენტთა განათლებაზე ზრუნვის სტრატეგიების მართვის სამეცნიერო-კვლევითი კლასტერის“ დაფუძნებისთვის მოსამზადებელი პროექტი“. ეს არის მიმდინარე პროექტი, რომლის განხორციელებას მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი პანდემიურმა ვითარებამ, თუმცა მდგომარეობის ჩვეულ რეჟიმში დაბრუნების შემდეგ, პროექტზე მუშაობა კვლავ განახლდება.

პროექტის იდეის ფორმირება დაეფუძნა იმერეთის მხარის პრობლემების შესწავლას, რომელთა შორის, სხვა პრობლემურ საკითხებთან ერთად, გამოვლინდა შემდეგი:

1. შრომითი რესურსის, სამუშაო ძალის რეაბილიტაციისა და მისი, როგორც ეკონომიკური რესურსის უფრო ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობების სიმწირე;
2. მხარის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, შიდარეგიონული კოოპერაციის გაღრმავებისათვის საჭირო კავშირების სისუსტე.

რეგიონული განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად, ასევე, შეიძლება მივიჩნიოთ რეგიონული ინოვაციური სისტემის ფორმირების ხელშეწყობა, რომლის წიაღში ბიზნეს პროცესების განვითარება და შესაბამისი სტრატეგიების ფორმირება მნიშვნელოვნად ეყრდნობა ადგილობრივი კვლევითი პოტენციალის გამოყენებას და მის ინტეგრირებას ბიზნესსაქმიანობაში. წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში ფორმირებადი კლასტერი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საერთო პრობლემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციების არაფორმალური გაერთიანება. მისი, მასშტაბისა და მოცულობის გათვალისწინებით, კლასტერში შეიძლება გაერთიანდეს 2-3 მონაწილე: უნივერსიტეტი, ბიზნესორგანიზაციები და რეგიონული/ადგილობრივი ხელისუფლება (დაინტერესების შემთხვევაში). აქედან:

უნივერსიტეტი - კვლევითი პოტენციალის მქონე ორგანიზაცია, რომლის მთავარი კონტრიბუცია კლასტერის მიმართ იქნება საკუთარი სამეცნიერო რესურსის ინვესტიცია წინასწარ შერჩეული პრობლემათა სპექტრის ანალიზში და მეცნიერულ დამუშავებაში;

ბიზნეს-ორგანიზაცია - ბიზნეს-საქმიანობაში უშუალოდ ჩართული და პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მეცნიერული დამუშავებით და მათი დაძლევის გზების ძიებით დაინტერესებული ორგანიზაცია, რომელიც არის უშუალო „დამკვეთი“ უნივერსიტეტისათვის და კლასტერის ფუნქციონირების შედეგების ძირითადი ბენეფიციარი;

მუნიციპალიტეტი - შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის დინამიური განვითარებით და პრობლემათა დაძლევით დაინტერესებული მხარე, რომელიც კლასტერის ფუნქციონირების მიმართ გამოხატავს (ძირითადად) ორგანიზაციულ მხარდაჭერას.

პროექტის განხორციელებაში ჩართულია: საკუთრივ უნივერსიტეტი, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და მედიცინის ფაკულტეტი. პროექტის მხარდამჭერებია: ქუთაისის

რეგიონული კლინიკური საავადმყოფო; იმუნოლოგიის, ალერგიისა და ასთმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (წყალტუბო); შპს „კურორტი საირმე“.

ფაკულტეტებზე არსებულ დეპარტამენტებში მიმდინარეობს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები. კვლევებს ძირითადად ასრულებს აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები როგორც გუნდურად, ასევე ინდივიდუალურად. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ყველა ფაკულტეტზე სპეციფიკურია და არათანაბრადაა განვითარებული. რიგი ფაკულტეტები აქტიურად ახორციელებენ სამეცნიერო კვლევებს ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მხარდაჭერით, ხოლო ნაწილი ამ კვლევების განვითარებას სამომავლოდ გეგმავს. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ჩართული იყო 132 სამეცნიერო-კვლევით პროექტში, როგორც გრანტის მფლობელი და პარტნიორი. მათ შორის: 32 - საერთაშორისო კვლევითი პროექტი; 68 – ეროვნული ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტი; 32 – შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია სხვადასხვა დონორის მიერ დაფინანსებულ 40-ზე მეტ მიმდინარე კვლევაში. მათ შორისაა: 23 - საერთაშორისო კვლევითი პროექტი; 19 – ეროვნული ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტი.

2019 წელს გადაიხედა და განახლდა სამეცნიერო პროფილები, რომელშიც წარმოდგენილია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების აღწერა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის SWOT ანალიზი და განსაზღვრულია ფაკულტეტის ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები/ქვე-მიმართულებები. ფაკულტეტების სამეცნიერო პროფილებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს/შემოქმედებით საქმიანობას, რომელსაც წვლილი შეაქვს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და, გარკვეულწილად, საერთაშორისო დონეზე. ფაკულტეტების მიერ განისაზღვრა პრიორიტეტული სამეცნიერო კვლევები და პრიორიტეტულობის შეფასება მოხდა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ხილვადობის გათვალისწინებით. პროფილების განახლება მოხდა 2018 წელს დამტკიცებული, განახლებული ფორმების მიხედვით, რომელიც დაფუძნებულია უნივერსიტეტის სტრატეგიაზე.

კვლევითი პროფილების პრიორიტეტული მიმართულებებია:

- რეგიონული განვითარების ეკონომიკური და სოციალური პრობლემები; თანამედროვე სამართალგანვითარების აქტუალური თეორიული და პრაქტიკული პრობლემები საქართველოში;
- ქართველოლოგია, ისტორია-არქეოლოგია, ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, ფილოსოფია, ხელოვნებათმცოდნეობა;
- ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური განტოლებები და მათემატიკური ფიზიკა, ალგებრა, ტოპოლოგია, გეომეტრია, დისკრეტული მათემატიკა, რიცხვითი ანალიზი, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, გამოყენებითი მათემატიკა, თეორიული ფიზიკა, ინფორმაციული სისტემები, ანალიზური ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია.
- პედაგოგიკის თეორია და ისტორია; ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა; მათემატიკის სწავლების მეთოდიკა; ბუნებისმცოდნეობის სწავლების მეთოდიკა; ინკლუზიური განათლება;
- ქცევათმეცნიერება, ფსიქიატრია; ალერგოლოგია, მოლეკულური და კლინიკური იმუნოლოგია; უმაღლესი სამედიცინო განათლება;
- სატრანსპორტო პროცესები, მექანიკის ინჟინერია, სასურსათო ტექნოლოგია, სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები, გაზომვები და ხარისხის მართვა, მასალების ინჟინერია, აღდგენითი ტექნოლოგიები, ენერგეტიკული სისტემები, გამოყენებითი მექანიკა, ღეროების დეფორმირების არაწრფივი ამოცანები, ჭრით დამუშავების და შედუღების ტექნოლოგიების მათემატიკური მოდელირება.
- გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები, ინჟინერია და უსაფრთხოება; სამკერვალო და ტყავის ნაკეთობათა დიზაინი, ტექნოლოგია და მასალათმცოდნეობა; საკვები პროდუქტების მეცნიერება, ტექნოლოგია და უვნებლობა, სპეციალური ტექსტილის ტექნოლოგიები და მასალათმცოდნეობა, ქიმიური, ფარმაცევტული და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ტექნოლოგია;

- საქართველოს სუბტროპიკული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევის (ნიადაგურ-კლიმატური და სხვ. გათვალისწინებით), მცენარეთა დაცვის, მოვლა–მოყვანის, ტექნიკური სერვისის უზრუნველყოფით მათი მექანიზაციისა და აგრობიზნესის განვითარების მიზნით მცენარეული ნედლეულის შენახვა-გადამუშავების ტექნოლოგიების დამუშავება;
- საქართველოში მზარდი დეკორაციული მცენარეების ზრდა-განვითარების თავისებურებების დადგენა, გარემოს ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება, სარეაბილიტაციო ღონისძიებების დამუშავება და საქართველოს ტურისტულ-რეკრიაციული რესურსების გამოვლენა მდგრადი ტურიზმისა და სოფლად ტურიზმის განვითარების პერსპექტივებით.
- შავი ზღვის სანაპირო ზოლში არსებული ჰიდროსაინჟინრო პრობლემების შესწავლა და მათი გავლენის კვლევა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე.

კვლევის შედეგების უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობაში ინტეგრირება გამოიხატება როგორც სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში მიმდინარე საქმიანობით, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური გაუმჯობესებით. უნივერსიტეტის კვლევითი ერთეულები მონაწილეობენ აკადემიური პროგრამების შემუშავების და განხორციელების პროცესში. აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგები, პუბლიკაციები, სამეცნიერო და მეთოდური სახელმძღვანელოები მითითებულია სილაბუსებში, როგორც დამხმარე სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა, ისინი გამოიყენება, როგორც ბაზა სტუდენტების (მაგისტრანტების, დოქტორანტების) საკვალიფიკაციო ნაშრომებისთვის. აკადემიურ პროგრამებში კვლევის შედეგების ინტეგრირება უზრუნველყოფილია:

- სადოქტორო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა და სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში;
- პერიოდული გამოცემების, საერთაშორისო ელექტრონული ბაზების სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომობით;
- კვლევითი ერთეულის პროფესორებისა და მკვლევრების სასწავლო პროცესში ჩართულობით;
- სადოქტორო პროგრამების კომპონენტის - ასისტირების ფარგლებში დოქტორანტების სასწავლო პროცესში ჩართულობით;
- აკადემიური პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობა ბაკალავრიატის სტუდენტებისა და მაგისტრანტებთან ერთობლივად;
- მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კურიკულუმისგარეშე აქტივობებით (მათთვის გამიზნული ტრენინგები და სემინარები);
- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევებით, რომელსაც ყოველწლიურად წარადგენენ სტუდენტურ კონფერენციაზე;
- სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამებით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული დოქტორანტის/მკვლევარის ხელმძღვანელის ფუნქციები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №62 დადგენილების „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ მიხედვით სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს:

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი;
- საქართველოს აკრედიტებული უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც არის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი;
- საზღვარგარეთის მაღალრეიტინგული უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც არის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომების/სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტების ეფექტურ და ხარისხიან ხელმძღვანელობას,

ნაშრომებისა და პროექტების მაღალ ხარისხს. ერთი პროფესორი ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს სამი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №65(19/20) დადგენილების თანახმად, დოქტორანტის ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილია 80 საათი (სასწავლო საკონტაქტო არაუმეტეს 15 საათისა და სასწავლო - ორგანიზაციული არანაკლებ 65 საათისა ერთ დოქტორანტზე გაანგარიშებით).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 30 ნოემბრის №35(12/13) დადგენილების თანახმად, დოქტორანტის თანახელმძღვანელობისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა განისაზღვრება 20-30 საათის რაოდენობით (შესაბამისი საკონტაქტო საათებით). სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის მაღალი სტანდარტი უზრუნველყოფილია საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურებით.

სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირებაში ჩართულია ფაკულტეტი, დოქტორანტურის განყოფილება და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილება უზრუნველყოფს:

- დოქტორანტურაში მიღების ერთიანი წესის შემუშავებას და დასამტკიცებლად აკადემიური საბჭოსათვის გადაცემას;
- დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების პროცედურის გამჭირვალობას;
- სადოქტორო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს;
- სადოქტორო ნაშრომების დაცვის პროცედურის ტექნიკურ უზრუნველყოფასა და მონიტორინგს.

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი. ამასთან, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირიც.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა, შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები ითვალისწინებს კონკრეტული დარგის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი.

სადოქტორო პროგრამების კურიკულუმში განსაზღვრულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურები და შეფასების კრიტერიუმები.

აწსუ-ში სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). სადისერტაციო ნაშრომისა და საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების (მათ შორის კოლოქვიუმის) შეფასება შეესაბამება საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებს. აღნიშნული შემთხვევისათვის გამოიყენება შემდეგი შეფასების სისტემა: ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი; ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; დამაკმაყოფილებელი (rite)–შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლო ბაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

კვლევითი კომპონენტისათვის გათვალისწინებული კრედიტების ათვისება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმატებულად დაცვის შედეგად. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №62 დადგენილებით „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“.

დოკუმენტი განსაზღვრავს როგორც სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო კომისიის წინაშე საჯარო დისკუსიაზე გატანის წინაპირობებს, ასევე ნაშრომის დაცვის და შეფასების პროცედურებს. საჯარო,

გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები წარიმართება მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობით, კერძოდ ნაშრომის დაცვის და შეფასების პროცედურები ითვალისწინებენ რეცენზენტების და სადისერტაციო საბჭოს წევრების (თითოეული წევრი) მიერ გადაწყვეტილების მიღებას ნაშრომის დაცვისთვის წარდგენის შესახებ შესაბამისი ფორმის მიხედვით.

სადისერტაციო ნაშრომის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, 2019 წლის 31 მაისს აკადემიური საბჭოს №48-ე დადგენილებით ცვლილება შევიდა „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ" უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №62(17/18) დადგენილებაში", რომლის თანახმადაც დადგინდა სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროცედურები. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის დაწყებამდე სადისერტაციო ნაშრომმა უნდა გაიაროს შემოწმება პლაგიატზე არაუმეტეს სამჯერ. იმ შემთხვევაში, თუ პლაგიატის დონე სადისერტაციო ნაშრომში არ აღემატება 15% - ს ჩაითვლება, რომ სადისერტაციო ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს.

სადოქტორო ნაშრომის კონცეფციებში გათვალისწინებულია ეტაპობრივი და თანამიმდევრული პროცესები, რაც გულისხმობს კვლევითი პროცესების სისტემატიზაციას, შუალედური კვლევითი ანგარიშების წარდგენას და დოქტორანტებისთვის ხელმძღვანელის მხრიდან პერიოდული უკუკავშირის მიწოდებას. ამასთანავე, დაცვის წინა ეტაპზე მოქმედებს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დაცვისთვის შესაბამისი სტანდარტის სადოქტორო ნაშრომის წარდგენას. სადოქტორო პროგრამების კურიკულუმებში სადისერტაციო ნაშრომისა და საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების (მათ შორის კოლოქვიუმის) შეფასების სისტემა და სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო კომისიის წინაშე საჯარო დაცვაზე გატანის წინაპირობები ნათლადაა ასახული.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტების რეკომენდაცია „ჩამოაყალიბეთ რეგულაციები რიგი სადოქტორო პროგრამების გაუქმებასთან დაკავშირებით" და აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის დადგენილებაში №94 (17/18) „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" შეიტანა ცვლილება, რის საფუძველზეც სადოქტორო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა უფლება მობილობა განახორციელოს მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამაზე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადგენილებით და სადოქტორო პროგრამით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების გათვალისწინებით. იმავე წესის მიხედვით, პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში აწსუ ითვალისწინებს სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს, ხელს უწყობს შიდა და გარე მობილობის პროცესში და კონსულტირებას უწევს შესაბამისი პროგრამების შერჩევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის წესდება;
- აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №62 დადგენილებით „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ".
- წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №197, 6.07.2018 წელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ
- კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმები (2018-2019; 2019-2020 წწ);
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის დადგენილებაში №94 (17/18) „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების,შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ".
- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №41(18/19) (5.04.2019) - აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის დადგენილებაში №94 (17/18) „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების,შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების

შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

- კვლევის განვითარების სტრატეგია.

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა;
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში;
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი სამუშაოები სრულდება ფაკულტეტებზე (არსებულ დეპარტამენტებზე) და სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში. მათი მუშაობა ეფუძნება უნივერსიტეტის კვლევის განვითარების სტრატეგიასა და პოლიტიკას. ფაკულტეტების სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შექმნა და საქმიანობა რეგულირდება აწსუ-ს დადგენილებით №102 (02.02.17) და ფინანსდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. ფაკულტეტებზე არსებულ დეპარტამენტებში სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი სამუშაოები სრულდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ.

ბოლო სამ წელიწადში გაიზარდა ფაკულტეტის დაფინანსების მასშტაბი. ამ თანხებიდან, ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეიძლება მოხმარდეს კვლევითი საქმიანობის დაფინანსებას, მიმდინარე საჭიროებებისა და ფაკულტეტების უპირატესობების გათვალისწინებით. ფაკულტეტების მიერ კვლევაზე დახარჯული თანხების პროცენტული ზრდა 15%-ია. გარდა ამისა, უნივერსიტეტი 40%-ით აფინანსებს დოქტორანტის დოქტორანტურაში სწავლის პროცესს.

კვლევის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სხვადასხვა წყაროდან: ფაკულტეტის ბიუჯეტი; სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები საგრანტო პროექტებისთვის; არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფონდები; უნივერსიტეტის სახელფასო ბიუჯეტი, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფს პერსონალის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამეცნიერო კვლევას; სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში შესრულებული კვლევები.

2018-2019 წელს გაიზარდა უნივერსიტეტიდან რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი განაცხადების რაოდენობა, მათ შორის ახალ მიმართულებებში.

2017 წელთან შედარებით 2018-2019 წლებში გაზრდილია ადგილობრივი გრანტების მოპოვების მიზნით უნივერსიტეტიდან წარდგენილი განაცხადების რაოდენობა.

გრანტის დასახელება	2018 წელი	2019 წელი
HE - სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის	4	
YS - ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევები	1	1
FR - ფუნდამენტური კვლევები	42	36
AR - გამოყენებითი კვლევები	2	16
PhD F - დოქტორანტების გრანტები	4	2
MR - მაგისტრანტთა კვლევები	1	
MG-TG/CG/SS/ - მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის საგრანტო კონკურსი (ინდივიდუალური სამოგზაურო, საკონფერენციო და სეზონური სკოლების გრანტები)	1	2
UO GSP - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები - ოქსფორდის უნივერსიტეტის პროგრამა		1

BRG - საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი		1
SP - საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი		1
ჯამი	55	60

2018-2019 წელს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მხრიდან რუსთაველის ფონდში წარდგენილი განაცხადებიდან დაფინანსდა 2 მათგანი.

აწსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი სამუშაოები აგრეთვე სრულდება საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების დაფინანსებითაც.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს ერთობლივ კვლევით/სახელოვნებო შემოქმედებით პროექტებს/აქტივობებს უცხოელ პარტნიორებთან. ჩართულია ევროკავშირის სამეცნიეროკვლევით პროგრამებში, აქვს ინსტიტუციური თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით/შემოქმედებით ცენტრებთან, ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო-შემოქმედებით აქტივობებში.

აწსუ-ს ფაკულტეტებზე (დეპარტამენტზე) მიმდინარე აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი მუშაობა მხარდაჭერილია უნივერსიტეტის სახელფასო ბიუჯეტით. აწსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმები, რის მიხედვითაც გაიანგარიშება აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიური დატვირთვა (აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №65 დადგენილება - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ).

უნივერსიტეტში ბოლო სამი წლის მანძილზე სახელფასო ფონდი იყო შემდეგი: 2018 წელს - 12 540 000 ლარი; 2019 წელს - 13 070 000 ლარი; 2020 წელს - 13 800 000.

დატვირთვის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტია სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: მონოგრაფიის მომზადება, გამოცემა, რედაქტირება, რეცენზირება; სახელმძღვნელოს ან სალექციო კურსის მომზადება, განახლება, გამოცემა, რედაქტირება, რეცენზირება, თარგმნა; საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება, განახლება; მეთოდური ხასიათის ერთობლივი კვლევების განხორციელება; სილაბუსის მომზადება; სამეცნიერო სტატიის მომზადება, გამოცემა, თარგმნა, რეცენზირება; სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება-ხელმძღვანელობა, მონაწილეობა; სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა; სტუდენტთა მომზადება სამეცნიერო კონფერენციებისათვის, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო საგრანტო პროექტის წარდგენა, მონაწილეობა; სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება, შეფასება, სადოქტორო დისერტაციის საფაკულტეტო საექსპერტო კომისიის წევრობა და სხვა სახის სამეცნიერო აქტივობები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს, ევროპულ, ამერიკულ და აღმოსავლეთის ქვეყნების უნივერსიტეტებსა თუ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან; სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციასა, საზოგადოებასა თუ ინსტიტუტთან; საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების კულტურისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებებთან, რაც დასტურდება პუბლიკაციებით საერთაშორისო გამოცემებში.

ფაკულტეტი ახორციელებს ინტერდიციპლინურ კვლევებს, მაგალითად: არქეოლოგიის მიმართულებით 2018-2020 წლებში ვარშავისა და ვაიზმანის (ისრაელი) უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. 2019 წლის 10-13 ივნისს ფაკულტეტზე და ჩატარდა AIDA-ს (fr. Association Internationale de Dialectologie Arabe) XIII საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს 80-ზე მეტმა მკვლევარმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ფაკულტეტის დაფინანსებით 2018-2019 წელს განხორციელდა ეთნოგრაფიული ექსპედიციები. ფაკულტეტზე მიმდინარეობს საგრანტო პროექტები რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და სხვა დაფინანსებით. მაგ: 2018-2019 წლები სლოვაკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო კვლევითი გრანტი; მოდერნისტული მითოპოეტიკა: მითოსი ინგლისურ და ამერიკულ მოდერნისტულ ლიტერატურაში; 2017-2019 წლები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; „ჯეიმზ ჯოისის კვლევის და თარგმნის ისტორია საქართველოში"; 2017-2020 წლები, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი- იმერეთის სოციოლინგვისტური სურათი XIX საუკუნის 80-90-იანი და XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქუთაისის პრესაში და სხვა. 2018-2019-2020 წლებში გერმანიაში, ქ. იენაში, DAAD-გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის მხარდაჭერით განხორციელდა ქ. იენის ფრიდრიხ შილერის-უნივერსიტეტსა და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობის ფარგლებში გერმანული ენისა და ლიტერატურის ლექტორ-მასწავლებლების ორმხრივი სამეცნიერო მივლინებები.

საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტი

საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე 2017-2019 წლებში ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობით მიმდინარეობდა 3 - საერთაშორისო პროექტი და 8 – ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი. 2010-2018 წწ. სულ მომზადებული იქნა 57 კვლევითი პროექტი, რომელთაგან დაფინანსდა 23, რამაც საშუალება მისცა ფაკულტეტს შეეძინა თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარები და განახლებულიყო კვლევების ლაბორატორიული ბაზა. 2019 წელს შ.რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ფუნდამენტალური კვლევების მიმართულებით წარდგენილი იყო 18 კვლევითი პროექტი, რომელთაგან 6 გადავიდა შეფასების დასკვნით ეტაპზე. 2019 წელს რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებულია ერთი საგრანტო პროექტი გამოყენებითი კვლევების მიმართულებით. ენერგეტიკის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და კვლევების განვითარებისათვის მძლავრი მხარდაჭერა იყო USAID-ის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტი 120 000 აშშ დოლარის მოცულობით. 2010 წლიდან დაფინანსებულია და შესრულებულია სამეცნიერო საგრანტო პროექტები, ჯამური თანხით ≈ 1 040 000ლარი. ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევები ძირითადად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მიმართულებებით. ამჟამად განხორციელების სტადიაშია შემდეგი პროექტები:

- „ზოგიერთი პარკოსანი კულტურებიდან მაღალტემპერატურული მიკრონიზაციის მეთოდით გაზრდილი კვებითი ღირებულების პროდუქტების მიღების პროცესის კვლევა" – 2019 წ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (ბიუჯეტი127 000 ლარი);
- „სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის განვითარების შესახებ სადოქტორო პროგრამა სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაცია და მართვა" – 2017 წ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (თანამონაწილე ორგანიზაცია ბათუმის საზღვაო აკადემია, ბიუჯეტი 270 000 ლარი);
- კაკლოვანი კულტურების ფქვილით გამდიდრებული ექსტრუზიული პროდუქტების წარმოების პროცესის კვლევა - 2018 წ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (ბიუჯეტი 147 300 ლარი);

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩატარდა ათი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, პოლონეთის, ლიტვის, სლოვაკეთის, და დსთ-ს ქვეყნების მეცნიერების მონაწილეობით: „ენერგეტიკა: რეგიონალური პრობლემები და განვითარების პერსპექტივები" (2015,2016), ქართულ-პოლონური კონფერენცია „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია" (III-2017 წ., V-2019 წ.), „უწყვეტ გარემოთა მექანიკის მონათესავე პრობლემები" საერთაშორისო კონფერენცია (2018 წ.), ვორქშოპი (2019 წ.),

„შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მისაწვდომობის პრობლემები სამოქალაქო ინფრასტრუქტურაში და განვითარების პერსპექტივები" (2019 წ.),„სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო მანქანები"(2017), საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენცია „რეგიონალური ტურიზმის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები" (2017). 2017 წლის 21 ნოემბერს ჩატარდა ვორქშოპი განახლებადი ენერგიის სფეროში პროფესიული განათლების პროგრამების აშშ-ს გამოცდილების საკითხებზე, რომელსაც უძღვებოდა დოქტორი ჰამიდ ნეჟადი, მინიაპოლისის უნივერსიტეტის ემერეტუს პროფესორი (მინესოტა, აშშ). ვორქშოპი ჩატარდება ათასწლეულის გამოწვევის ფონდის "პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" მიერ, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის II კომპაქტის

ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „მზის ენერგიის გამოყენება - ახალი პროფესიული კადრები“ ფარგლებში.

2018 წლიდან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ხელმძღვანელობს საქართველოს მექანიკოსთა კავშირს პრეზიდენტის და ვიცე პრეზიდენტის რანგში. მათ მიერ ორგანიზებულია საქართველოს მექანიკოსთა კავშირის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციები 2018 წ. (ქ. ქუთაისი, აწსუ), 2019 წ. (ქ. თელავი, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საქართველოში ჩატარებულ სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებში, არიან საზღვარგარეთ ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების სამეცნიერო კომიტეტების წევრები: „Contamporary Problems of Architecture and Construction“ (პეკინი, ჩინეთი 2018 წ., ერევანი, სომხეთი 2019 წ.), trans & MOTAUTO 19 (ვარნა, ბულგარეთი 2019 წ.), Transport Problems (კატოვიცე, პოლონეთი 2019 წ). ბოლო 2 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულია 28 სამეცნიერო სტატია Scopus და ERTH PLUS მონაცემთა ბაზაში ხილულ ჟურნალებში.

ბოლო წლებში გაიზარდა პროგრამების ინტერნაციონალიზაციის და ერთობლივი კვლევების ჩატარების მაჩვენებლი. აწსუ-სა და შ. ესენოვის სახელობის კასპიის ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტს (ქ. აქტაუ, ყაზახეთის რესპუბლიკა) შორის გაფორმებულია მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მანქანათმშენებლობაში ერთობლივი კვლევების ჩატარებას და დოქტორანტების მომზადებას ყაზახეთის მხარისათვის აქტუალური პრობლემების შესაბამისად. ამისათვის 2019 წელს აკრედიტაცია მიიღო ახალმა სადოქტორო პროგრამამ „საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები“, რომლის ფარგლებში გრძელდება თანამშრომლობა პარტნიორებთან. პროგრამის შემდგომი განვითარების და ინტერნაციონალიზაციის კუთხით დაგეგმილია აკადემიური პერსონალის ჩართვა სილეზიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან (პოლონეთი), ლაგულას უნივერსიტეტიდან (იტალია). გაფორმებულია მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ სლოვაკეთის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან (ბრატისლავა, სლოვაკეთი), ტაშკენტის ქიმიურ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან (უზბეკეთი).

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

2017-2020 წლებში ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობით მიმდინარეობდა 3 საერთაშორისო პროექტი და 8 ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი, მათ შორის:

1. ბალტიის ზღვის ქვეყნების უნივერსიტეტის ქსელის გაძლიერება ლანდშაფტების მდგრადობასა და ნარჩენების მართვაში-LASUWAMA, ბალტიის ზღვის თანამშრომლობა, შვედეთის ინსტიტუტი.
2. „ევროპის ანთროპოსფეროს მოპოვებითი გათხრები-MINEA“. COST-ევროპული თანამშრომლობა მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში. ევროკავშირის პროგრამა Horizon 2020 მხარდაჭერით;
3. ცოდნის მიმოცვლა ინტერ-ბალტიის პარტნიორობის სფეროში მომავალი რეგიონული ციკლური ეკონომიკის თანამშრომლობისათვის - PECEC. ბალტიის ზღვის თანამშრომლობა, შვედეთის ინსტიტუტი.
4. დეფორმირებული ტერფებისა და ამპუტირებული ქვედა კიდურების კვლევა და კორექცია ორთოპედიული საშუალებების შემუშავებით. 2016-2018, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
5. მათემატიკური მოდელი და კომპიუტერული პროგრამები მრავალფენიანი ტექსტილის მრავალფუნქციური ქცევის კვლევისათვის, 2016-2019 DI 2016-41, შოთა რუსთაველის ეროვნული სამცნიერო ფონდი;
6. საქართველოში წარმოებული თაფლისა და ღვინის ქიმიური შედგენილობის შესწავლა მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირებით, ადგილმდებარეობის და სახეობრივი პასპორტიზაციის წესების დასადგენად. 2016-2017, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეც-ნიერო ფონდი; შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრანტი, თანამონაწილე. გრანტი 216816
7. ყურძნის წიპწის ექსტრაქტოვანი ზეთის წარმოების ტექნოლოგიური საფუძვლებისა და ხარისხის კონტროლის მეთოდების შემუშავება 2015-2018, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი FR/239/3-220/14
8. ჯანსაღი საკვების წარმოებისა და შენახვის ტექნოლოგიების შემუშავება ბოცვრის ხორცის გამოყენებით 2017-2020, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი FR17_353

9. ძლიერი ანტიოქსიდანტური პოლიფენოლური კონცენტრატის ინოვაციური ტექნოლოგიის შემუშავება 2016-2018, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი N 216 752

მიმდინარე საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ჩატარებულია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზე მიმართული ვორქშოფები და ტრენინგები, რომელიც ჩატარდა ესტონეთის, ლატვიისა და საქართველოს უნივერსიტეტებში. ასეთი 2 ვორქშოფი ჩატარდა აწსუ-ში 2018 წლის 25 სექტემბერს, რომელსაც აფინანსებდა შვედეთის ინსტიტუტი აწსუ-ს ბალტიისპირა ქვეყნებთან მიმდინარე პროექტების ფარგლებში. აღნიშნული ღონისძიებები არის ინტერნაციონალური და მასში მონაწილეობდნენ უკრაინელი, ლიეტუველი, ლატვიელი, ესტონელი, შვედი, ფინელი და ქართველი სტუდენტები. აწსუ-დან 2018-2020 წლებში ასეთი სახის 4 ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების 24 სტუდენტმა, მათ შორის 12 ევროპაში გამართულ ტრენინგებში.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2017 წლიდან განხორციელებულია 4 სამეცნიერო კვლევითი პროექტი. 1 საერთაშორისო კვლევითი პროექტი:

- 2015-2019, ახალი გამოწვევები სუპერსიმეტრიულ და სუპერინტეგრებად დინამიკურ სისტემებში; https://www.researchgate.net/project/NEW-CHALLENGES-IN-SUPERSYMMETRIC-AND-SUPERINTEGRABLE-DYNAMICAL-SYSTEMS

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული 2 სამეცნიერო გრანტი, 2017;

- Erasmus+, staff teaching mobility (STA incoming) between PROGRAMME and PARTNER COUNTRIES.Contract number 2016-1-RO01-KA107-02355, რუმინეთი იაშის სახელწიფო უნივერსიტეტის („Alexandru Ioan Cuza" University of Iași; (აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობა) 2019; staff training mobility (STA incoming) between PROGRAMME and PARTNER COUNTRIES.Contract number 2017-1-FR01-KA107-036348, საფრანგეთი, INSA_RENNE უნივერსიტეტი, (აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობა)

1 – ეროვნული ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტი:

- „2017-2019, 217282: ფურიეს ანალიზის ოპერატორები ზოგიერთ ახალ და კლასიკურ ფუნქციურ სივრცეში".

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ატარებს კვლევებს რეგიონული განვითარების გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე, შავი ზღვის სანაპირო ზოლის ჰიდროსაინჟინრო პრობლემებთან დაკავშირებით, ფოთის პორტის შემოსასვლელ არხში რისკების მართვის, მიმდებარე ტერიტორიის ლითოდინამიკის რიცხვითი მოდელირების საკითხებზე და სხვ.

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საერთაშორისო პარტნიორია რიზეს რეჯიფ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტი. უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი თანამშრომლობს სამეცნიერო კვლევების მიმართულებით: შავი ზღვისპირა რეგიონში ეროზიული პროცესების გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა, შავი ზღვის სანაპიროს ეროზიის და ნავსადგურის შემოსასვლელ არხებში დაბინძურების რისკების მართვა. კვლევებით მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელია როგორც საქართველოს სანაპირო ზოლში, ასევე ზოგადად შავი ზღვის დაბალწყლიანი რეგიონების, მათ შორის თურქეთის სანაპირო ზოლის ეროზიული პროცესებისაგან დაცვის მიზნით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო კვლევის შედეგები ქვეყნდება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში და დეკლარირებულია საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციებზე. საერთაშორისო გრანტით განხორციელდა პროექტი „ფოთის პორტის მიმდებარე რეგიონებში ზღვის წყლის ხარისხის, ნატანის მიგრაციისა და ჰიდროდინამიკური მახასიათებლების მონიტორინგი". ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ერთობლივი კვლევებს ახორციელებს უნივერსიტეტის სხვა დეპარტამენტებთან თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების - „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის", შპს. „ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და „სს ფოთის ნავსადგურის სპეციალისტების ჩართულობით".

შავი ზღვის სანაპირო ზოლში, კერძოდ ფოთის რეგიონში არსებული გარემოსდაცვითი და ჰიდროსაინჟინრო პრობლემების გადაწყვეტის მიზნით დამყარდა პარტნიორული კავშირი კომპანიასთან - შპს „სანაპიროს მართვის ჯგუფი“ (დირექტორი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვიქტორ ნანობაშვილი). ერთობლივი სამეცნიერო საპროექტო წინადადება წარდგენილი იქნა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ გამოცხადებულ 2019 წლის გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსზე **CARYS.** AR-448).

ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი აქტიურად ატარებს კვლევებს რეგიონული განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე. ფაკულტეტზე დაფუძნდა კვლევითი ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს კვლევი განვითარებას არსებული სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში. ფაკულტეტმა 7 წლიანი კონტრაქტით მოიწვია ოქსფორდისა და მიუნსტერის უნივერსიტეტების პროფესორი იორგ ჰარდი, დაარსა დოქტორანტთა ინტერდისციპლინური კლასტერი, ერთობლივი კვლევების განხორციელების მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გააფორმა ჩეხეთის, ტომას ბატას სიცოცხლის შემსწავლელ უნივერსიტეტთან, კიევის ვადიმ გეტმანის სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტთან და კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტთან.

ფაკულტეტი გასცემს შიდა გრანტებს, რომლის ფარგლებშიც 2019 წელს დაფინანსდა პროექტი „შრომითი რესურსის რეაბილიტაციის, პოპულაციის ჯანმრთელობასა და პაციენტთა განათლებაზე ზრუნვის სტრატეგიების მართვის სამეცნიერო-კვლევითი კლასტერი“.

ფაკულტეტი პერიოდულად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებს. ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნეს-პროცესების მართვა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტთან ერთად ჩატარებული, 2015-2019 წწ.), თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები(2015, 2017 და 2019 წწ.).

პედაგოგიური ფაკულტეტი

პედაგოგიური ფაკულტეტზე 2020 წლის ივნისიდან იწყება საგრანტო პროექტი USAID საბაზისო განათლება, „მასწავლებელთა გადამზადება-ტრენინგი“, რომელიც ითვალისწინებს დაწყებით საფეხურზე კითხვისა და მათემატიკის კომპეტენციების ამაღლებას (1-6 კლასი). ასევე პროექტი ითვალისწინებს საჯარო სკოლის დირექტორების გადამზადებას. პროექტში ჩაერთვება იმერეთის რეგიონის 373 საჯარო სკოლა, 1119 მასწავლებელი და დირექტორი. პროექტის ხანგრძლოვობაა 4 წელი.

ასევე, ფაკულტეტზე 2020 წლიდან დაიწყო და 2024 წლამდე გრძელდება საგრანტო პროექტი "ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ინკლუზიის მხარდასაჭერად" (CISI)

პედაგოგიური ფაკულტეტის საერთაშორისო პარტნიორებია: ქ. ბრნოს მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი); კიევის მ. დრაგომანოვის სახელობის ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტი (უკრაინა); საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი (ASB). ფაკულტეტი აფინანსებს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში.

აგრარული ფაკულტეტი

აგრარულ ფაკულტეტზე 2018-2020 წლებში დაფინანსებული კვლევითი პროექტების ჯამური თანხაა 150 000 ლარამდე. მათ შორის ამჟამად მიმდინარე საგრანტო პროექტების რაოდენობაა – 5. ძირითადი დამფინანსებლები ბოლო ორი წლის განმავლობაში არიან USAID /REAP, PIN, USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.აკადემიური პერსონალი მონაწილეობს 3 საერთაშორისო პროექტში: „მდგრადი ტურიზმი: მეწარმეობა სოფლად და მემკვიდრეობა.თანამშრომლობა საგანმანათლებლო სფეროში საქართველოს, ყირგიზეთსა და ნორვეგიას შორის“-ნორვეგია; „გრძელვადიანი ტრენინგები პრაქტიკოსი აგრონომებისთვის“– USAID/REAP; ჩეხეთის მთავრობისა და ამავე სახელმწიფოს დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციის -PIN ის მიერ განხორციელებული პროექტი „სწავლების ხარისხის ამაღლება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, ლაბორატორიული ანალიზები დაფნის კულტურის სექტორისთვის” USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა (დამფინანსებელი: „საგარეო საკითხებისათვის მოქალაქეთა ქსელის ფილიალი-CNFA საქართველო“). 2019 წლის 14-15 ნოემბერს ქ. ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრარული ფაკულტეტის ორგანიზებითა და

„იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის“ მხარდაჭერით, ჩატარდა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია "ახალი ინიციატივები”.

მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის ფაკულტეტი ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და პერსპექტიული ფაკულტეტია უნივერსიტეტში. მას გააჩნია პოტენციალი იქცეს რეგიონში კადრების მომზადების სფეროს ლიდერად, რასაც იყებს კიდეც პრაქტიკაში. ფაკულტეტი შიდა დაფინანსებით ახორციელებს სხვადასხვა კვლევით პროექტს, მათ შორის - ეპიდემიოლოგიური კვლევა: „ინსულტის პრევალენტობა იმერეთის რეგიონში“ შესახებ. კვლევა ერთობლივია და ჩატარდება იმერეთის რეფერალური ჰოსპიტალის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტისა და ესენის უნივერსიტეტის მონაწილეობით, ესენის უნივერსიტეტის ნევროლოგის პროფესორ ზაზა ქაცარავას ხელმძღვანელობით, კვლევითი პროექტი «ტყვიის კვლევა“ რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო კოორდინაციას უწევს კვლევის განვითარების პოლიტიკის იმპლემენტაციას, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებს. უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უწევს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, დოქტორანტურის განყოფილება, საგარეო ურთიერთობების და განვითარების სამსახური და კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენრტი, რომლებიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მხარს უჭერენ უნივერსიტეტს, მის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიური პერსონალს:

- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში; რაც რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით;
- უნივერსიტეტში ფუნდამენტური, გამოყენებითი და ინოვაციური სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრაში;
- უნივერსიტეტის პერსონალისათვის საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ფონდების მუშაობის სპეციფიკის, საკონკურსო პირობების გაცნობაში და ტრენინგების ორგანიზებაში საგრანტო განაცხადების შესავსებად;
- სამეცნიერო კვლევების განვითარებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების მიზნით, შესაბამისი კონტაქტების დამყარების ხელშეწყობაში;
- უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნაში;
- საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებში მეცნიერული კვლევების პრიორიტეტების განსაზღვრისა და ზოგადი ხასიათის საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებისათვის მოცემული დარგის აღიარებულ მეცნიერთა სამეცნიერო კონსულტანტებად მოწვევაში;
- მემორანდუმების, ხელშეკრულებების მომზადება-გაფორმებაში;
- უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საქმიანობის კოორდინაციაში;
- საგარეო ურთიერთობების და განვითარების სამსახური გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მხარს უჭერს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და დოქტორანტებს საერთაშორისო მობილობაში; სამსახური ხელს უწყობს უცხოელი მკვლევრებსა და პროფესორებს, შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებას.

უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს კვლევის განვითარების სისტემურ ხელშეწყობას კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის დაფუძნებით, პოზიტიური ორგანიზაციული კლიმატის შექმნით, ინტერნაციონალიზაციისა და ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობის ხელშეწყობით, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობით, მიზნობრივი დაფინანსებითა და ინოვაციური კვლევებისა და კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერით.

როგორც უკვე აღინიშნა, უნივერსიტეტში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 6 ივლისის დადგენილებით მოხდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი. იგი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში არსებულ კვლევითი პროცესების ტექნიკურ მხარდაჭერას, კერძოდ: გრანტების მოძიებას, საპატენტო-სალიცენზიო მიმართულების, ახალგზარდა მკვლევართა მხარდაჭერას,

შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი პროცესების ხელშეწყობას, ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობასა და შიდასაინფორმაციო ბაზის შექმნას.

კვლევის განვითარების პროცესის მონიტორინგის ეფექტური განხორციელების მიზნით, 2018, 2019 და 2020 წლებში **შექმნა საინფორმაციო ბაზა აწსუ-ში კვლევითი აქტივობების სტატისტიკური მონაცემების შესახებ.** ცენტრის მიერ საინფორმაციო ბაზის, ისევე როგორც გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფებისაგან მიღებული მონაცემები გაერთიანდა საერთო ანგარიშში, რომელიც წარედგინა უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს. აღნიშნულ ანგარიშში გამოკვეთილი იქნა როგორც მიღწეული წარმატებები, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები და რეკომენდაციები იმ აუცილებელი აქტივობების შესახებ, რაც მნიშვნელოვანი იქნება კვლევის განვითარების პროცესის მონიტორინგის მუდმივად წარმართვისა და ერთიანი სისტემის დანერგვის თვალსაზრისით. საჭიროებები იდენტიფიცირდა როგორც მაღალი, საშუალო და დაბალი. რეკომენდაციებიც გაიცა აღნიშნული კლასიფიკატორის შესაბამისად. კერძოდ,

- პერიოდული საინფორმაციო ღონისძიებების ორგანიზება საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების მოძების, განაცხადების შევსებისა და დაფინანსების მოპოვების სხვა წყაროების შესახებ;
- ვორქშოპები საერთაშორისო და ადგილობრივ, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების პროცედურების შესახებ;
- პერიოდული შეხვედრები დარგში/ფაკულტეტზე არსებული კვლევითი გამოწვევებისა და მათზე უნივერსიტეტის მხრიდან რეაგირების მექანიზმების დახვეწის შესახებ;
- კონკრეტულ დარგებში მიმდინარე თანამედროვე კვლევები, კვლევის მეთოდებისა და სიახლეების შესახებ აღიარებული მეცნიერების მიერ გამოცდილების გაზიარება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან;
- სამუშაო შეხვედრები დარგების მიმართულებით კვლევის კომერციალიზაციის კუთხით არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ცენტრის მხრიდან გაწეული რეკომენდაციები გაითვალისწინეს ფაკულტეტებმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, რის შედეგადაც რიგ ფაკულტეტებზე დაიწყო სამუშაო შეხვედრები დარგების მიმართულებით, სფეროში აღიარებულ მეცნიერებთან. შეხვედრების მიზანი იყო აწსუ-ს აკადემიური პერსონალისათვის გამოცდილების გაზიარება და ინფორმაციის გაცვლა როგორც დარგში მიმდინარე თანამედროვე კვლევების, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების თვალსაზრისით. მაგ: მსგავსი სახის ვორქშოპი გაიმართა 2019 წელს პედაგოგიურ ფაკულტეტსა და საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე.

გარდა ამისა, კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი მუდმივ რეჟიმში სთავაზობს აკადემიურ პერსონალს საგრანტო განაცხადების მომზადებასა და საგრანტო პროექტების შესახებ ინფორმაცის მოპოვებაში მხარდაჭერას. 2019 წლის აგვისტო-სექტემბრის თვიდან უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ცენტრისათვის განკუთვნილ ველში განთავსებულია სარეგისტრაციო ფორმები. ჯგუფის შედგენის შემთხვევაში ცენტრი უზრუნველყოფს პერსონალისათვის ვორქშოპის ჩატარებას და ასევე ინდივიდუალურ კონსულტაციას. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური კონსულტაციებით უკვე ისარგებლა 60-მდე პროფესორმა და სამი ფაკულტეტის ადმინისტრაციამ.

კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრმა განახორციელა აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება, ჩაატარა ფოკუს ჯგუფები და გამოკითხვა. ამ აქტივობების მიზანი იყო ყველა სტრუქტურულ ერთეულს ჰქონოდა ზუსტი, სანდო, ფაქტებსა და კვლევაზე დამყარებული სტატისტიკური ინფორმაცია არსებული ვითარების შესახებ, მისცემოდათ შესაძლებლობა შეეფასებინათ ფაქტობრივი ვითარება და კვლევის განვითარების თვალსაზრისით დაეგეგმათ სათანადო ღონისძიებები. ანგარიშის შემუშავების შემდეგ გამართა პრეზენტაციები ყველა ფაკულტეტზე, სადაც ფაკულტეტის წარმომადგენელს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ფაკულტეტზე მიმდინარე სამეცნიერო აქტივობებისა და გამოქვეყნებების სტატისტიკურ ინფორმაციას. ფაკულტეტებზე ამგვარმა განხილვებმა ხელი შეუწყო პროფესიული გამოცდილების გაზიარებასა და არსებული ვითარების ახლებურ გააზრებას. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 250-ზე მეტმა აკადემიურმა პერსონალმა, მათ შორის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ.

უნივერსიტეტში მოქმედებს ახალგაზრდა კადრების კვლევაში მოზიდვისა და მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც გულისხმობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების

სტუდენტების, პოსტდოქტორანტების ჩართვას უნივერისტეტის სამეცნიერო/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში, მათი კვლევითი/სახელოვნებო-შემოქმედებითი ინიციატივების ეფექტურ მხარდაჭერას. სამეცნიერო კვლევების შესრულებაში ჩართულია მაგისტრანტები და დოქტორანტები; საერთაშორისო კვლევითი პროექტებით დაგეგმილ შეხვედრებსა და სემინარებზე იგზავნებიან აწსუ-ს მაგისტრანტები და დოქტორანტები, უნივერსიტეტი მხარს უჭერს საერთაშორისო კონფერენციებში დოქტორანტების მონაწილეობას; საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების სტუდენტების სამეცნიერო ღონისძიებებში (საზაფხულო სკოლა, სემინარი, კონფერენცია, კონგრესი) მონაწილეობას. სტუდენტები საკუთარ საკვალიფიკაციო ნაშრომებს ასრულებენ შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი ერთეულებისა და დეპარტამენტების ბაზაზე, რაც მათ აძლევთ შესაძლებლობას, ჩაერთონ კვლევით პროცესში და უნივერსიტეტის კვლევითი დღის წესრიგის განხორციელებაში. მაგალითად, 2017 წლის საგაზაფხულო სემესტრში ერთმა თანამშრომელმა/დოქტორანტმა და ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის ერთმა სტუდენტმა ჩაატარეს ერთ თვიანი კვლევები ნორვეგიაში, 2018 წლის საგაზაფხულო სემესტრში 1 მაგისტრანტმა ჩაატარა კვლევა ნორვეგიაში (1 თვე) სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად, 2017/18 სასწავლო წელს საშემოდგომო სემესტრში ისწავლა ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთის უნივერსიტეტში და წარმატებით დაამთავრა 1 სტუდენტმა; ზაფხულის სკოლებში მდგრად ტურიზმში ნორვეგიასა და ყირგიზეთში მონაწილეობა მიიღეს ტურიზმის სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამის 4 სტუდენტმა და 3 პროფესორმა. 2020 წელს სხვადასხვა პროგრამის 6 სტუდენტი იმყოფებოდა საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისში. 4 მათგანის გამგზავრება გერმანიაში დაგეგმილია სექტემბერში.

სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართულობის გაზრდის მიზნით კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრმა 2019 წლის სტუდენტურ კონფერენციაზე წაახალისა ისეთი პროექტები, რომლებიც ჯგუფური ან ინდივიდუალური კვლევითი პროექტების წარმოდგენაზე იყო ორიენტირებული. ანალოგიური დაგეგმილია 2020 წლის სტუდენტურ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართება ყველა ფაკულტეტზე ონლაინ ფორმატში.

უნივერსიტეტმა გაითვალისწინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2019 წელს განხორცილებულ ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაცია უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გადახედვასა და მეტად აქტიურ თანამშრომლობაზე ფოკუსირებასთან დაკავშირებით. 2018 წლიდან დაიწყო მემორანდუმების განახლება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან კონკრეტული აქცენტების გათვალისწინებით. კერძოდ, ადგილობრივ პარტნიორებთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი) მემორანდუმში დაკონკრეტდა პუნქტები ერთობლივ სადოქტორო კვლევებთან დაკავშირებით. საერთაშორისო მასშტაბით შვეიცარიის, ფრიბურგის უნივერსიტეტთან დოქტორანტების კლასტერის შექმნაზე, კაუნასის (ლიეტუვა), მიუნსტერის (გერმანია) და ხარკოვის (უკრაინა) უნივერსიტეტებთან საჯარო ლექციებისათვის პროფესორების მოწვევის, სადოქტორო თემების ერთობლივი ხელმძღვანელობის და რეცენზირების მიმართულებით. ასევე განახლდა ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან, სადაც აწსუ-ს სხვადასხვა პროგრამის სტუდენტები პრაქტიკებს გაივლიან.

სტუდენტებში უცხო ენის ფლობის გაუმჯობესების მიზნით საუნივერსიტეტო მასშტაბით, 2017 წელს, ყველა საბაკალავრო პროგრამაში ცვლილება განიცადა უცხო ენის სილაბუსებმა, რომლებიც გაუმჯობესდა დონეების მიხედვით სასწავლო ლიტერატურისა და შეფასების კომპონენტების ცვლილებით. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილება განხილული იქნა დარგობრივ დეპარტამენტებზე. გარდა ამისა, გაძლიერდა უცხო ენის კომპონენტის სავალდებულო მოდულები. 2019 წლის იანვრიდან საბაკალავრო პროგრამებს მეოთხე სემესტრში დაემატა სავალდებულო უცხო ენა.

გარდა ამისა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2019-2020 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებისას, უცხო ენის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაზარდა.

აკადემიურ პერსონალში უცხო ენის ფლობის დონის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები აქტიურად განიხილება უნივერსიტეტის მართვის ორგანოებშიც. ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციებისა და უნივერსიტეტის საჭიროებების გათვალისწინებით გადაწყდა უცხო ენის კომპეტენციის ამაღლებასთან დაკავშირებით კომპლექსური მიდგომის შემუშავება. კერძოდ, აკადემიურ საბჭოს ეცნობა უნივერსიტეტში არსებული ენათა ცენტრისა და მთარგმნელობითი ჯგუფის (LCC)

გაერთიანებისა და ერთიან, დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების შესახებ. რადგან აღნიშნული ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობას, საკითხს მიეცა მსვლელობა, რომელიც დადებითად გადაწყდა და წარმომადგენლობით საბჭოს მიერ საკითხის განხილვის შემდეგ ცენტრი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის სახით. იგი განახორციელებს როგორც პროფესიული განვითარების მიზნით სწავლებას, ასევე კომერციულ საქმიანობას. ცენტრის მიზანია კოორდინაცია გაუწიოს უნივერსიტეტის მასშტაბით უცხო ენების მაღალ დონეზე სწავლებას, უზრუნველყოს აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებში უცხო ენების ბლოკის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ადაპტირება, კონკურენტუნარიანი კადრის მოზიდვა, ქმედებათა გააქტიურება საქმიანობის კომერციალიზაციის მიმართულებით როგორც საუნივერსიტეტო დაფინანსების ფარგლებში, ისე ნებისმიერი დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის.

უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის წახალისების, მკვლევართა ჯგუფებში ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარების და ამ მიმართულებით მოტივაციის გაზრდის მიზნით, აკადემიური საბჭოს №65-ე დადგენილების თანახმად დამტკიცდა „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ“ დადგენილება. დოკუმენტის თანახმად, აკადემიური პერსონალის წლიურ დატვირთვაში გაიზარდა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო სტატიის მომზადებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობა 1000 საათამდე, იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე - 800 საათამდე, უცხოეთში რეფერირებულ ჟურნალში, გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე, რომელიც მიეკუთვნება საერთაშორისო-სამეცნიერო ბაზებს - 1 სტატიაზე - 500 საათამდე, უცხოეთში რეფერირებულ ჟურნალში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე - 400 საათამდე, აწსუ სამეცნიერო შრომების კრებულში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე - 300 საათამდე (არაუმეტეს 2 სტატიისა სასწავლო წლის განმავლობაში); უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში „მოამბე“ და სხვა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე- 300 საათამდე.

უცხო ენის ფლობის დონის გაუმჯობესების წასახალისებლად ასევე დაიგეგმა და ჩატარდა შეხვედრები/ტრენინგები/ვორქშოპები აკადემიურ პერსონალთან დარგების მიხედვით. აღნიშნულ სამუშაო შეხვედრებზე დარგის მოწვეული ექსპერტები საუბრობდნენ საერთაშორისო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების აუცილებლობაზე, უცხო ენის ფლობის დადებით მხარეებსა და აკადემიურ სივრცეში მის მნიშვნელობაზე. აქვე აღსანიშნავია აწსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ სამოგზაურო გრანტით სარგებლობის რაოდენობრივი მონაცემები ერაზმუს+ პროექტის ფარგლებში. კერძოდ, 2019 წელს აღნიშნული შესაძლებლობით ისარგებლა 27-მა აკადემიურმა პერსონალმა შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი), დიუსელდორფის უნივერსიტეტი (გერმანია), იაშის უნივერსიტეტი (რუმინეთი), რუანის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ინსა-რენე (საფრანგეთი), კაიზერსლაუტერნის უნივერსიტეტი (გერმანია), იენის უნივერსიტეტი (გერმანია), ჩესტერის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია), ტელემარკის უნივერსიტეტი (ნორვეგია), კაიროს უნივერსიტეტი (ეგვიპტე), რიზეს უნივერსიტეტი (თურქეთი), რუჟნებეროკის უნივერსიტეტი (სლოვაკეთი), რენეს უნივერსიტეტი (საფრანგეთი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №65 დადგენილება - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ;
- ფაკულტეტების კვლევითი პროფილები
- მემორანდუმები
- წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №171 „საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“

6.3.	კვლევითი საქმიანობის შეფასება

- უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

აღწერა და შეფასება

უმაღლესი განათლების გაუმჯობესება და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება მნიშვნელოვანად არის დამოკიდებული სამეცნიერო კვლევის ხარისხზე, სწავლისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრირებაზე უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე.

უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო კვლევის ხარისხი განსაზღვრავს სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კავშირს, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართულობას, ახალგაზრდა თაობის შესაძლებლობების გაძლიერებას. შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე, აწსუ-ს სასიცოცხლოდ აუცილებელ ინტერესებშია სამეცნიერო კვლევის ხარისხის გაუმჯობესების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც დაფუძნებული იქნება საფუძვლიან ანალიზზე, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილებაზე.

მას შემდეგ კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასებისა და ანალიზის სისტემის ჩამოსაყალიბებლად უნივერსიტეტმა აქტიურად დაიწყო მუშაობა. 2016 წლის ივლისში საგრანტო პროექტის სახით მოამზადა და ფონდში „ღია საზოგადოება-საქართველო“ წარადგინა „სტრატეგიული დაგეგმვა რეგიონული უნივერსიტეტების სამეცნიერო კვლევის ხარისხის გაუმჯობესებისათვის“. უნივერსიტეტი მიიჩნევდა, რომ კვლევის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა არსებული ვითარების შესწავლა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, დაინტერესებულ პირებთან ერთად შეთავაზებული გეგმის განხილვა და შეთანხმება, შეფასებისა და განვითარების ახალი ციკლის ინიცირება. შესაბამისად, გადასაჭრელი იყო ოთხი ძირითადი ამოცანა:

1. სამეცნიერო კვლევის ხარისხის შეფასების ზოგადი ინდიკატორების განსაზღვრა;
2. აწსუ-ში არსებული სამეცნიერო პოტენციალის ამსახველი საინფორმაციო ბაზის შექნა;
3. მონაცემების ანალიზისა და შეფასების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება და მისი გამოყენება დარგობრივი სამეცნიერო მიმართულებების შეფასებაში;
4. კვლევის ხარისხის გაუმჯობესების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება დარგობრივი სპეციფიკების გათვალისწინებით.

პროექტი არ დაფინანსდა დონორების მიერ, თუმცა პროექტში დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება შემდგომში ისევ საკუთარი ძალებითა და სხვა დონორი ორგანიზაციების (CTC, PIN) დახმარებით დაიწყო. ამ სამუშაობიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- 2017 წელს დაიწყო მუშაობა აწსუ-ს განახლებულ სტრატეგიაზე, რომელშიც ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესება;
- შემუშავდა დოკუმენტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესახებ (დადგენილება № 102 (02.02.17); ფაკულტეტებზე შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობა ფასდება დადგენილებაში აღწერილი პროცედურის მიხედვით.
- შემუშავდა დოკუმენტი აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების ნორმატივების განსაზღვრის, დამტკიცების, აღრიცხვისა და შესრულების შემოწმების წესი (აწსუს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის №29 (17/18) დადგენილება). დოკუმენტში განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სამუშაოს პირველადი შეფასების პროცედურები.
- 2018 წელს შეიქმნა კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი;
- 2018 წელს ჩაერთო ERASMUS+ პროექტში HERD (Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units/HERD) რათა მისი დასრულების შემდეგ საშუალება ჰქონდეს ერთიანი პლატფორმის გამოყენებით მონიტორინგი გაუწიოს კვლევით საქმიანობას და შეიმუშავოს კვლევის საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები.

- 2018 წელს ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს №65-ე დადგენილებაში და დამტკიცდა „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ“, რომლის მეშვეობით გაიზარდა კვლევისათვის განკუთვნილი საათობრივი დატვირთვა;
- 2019 წელს შემუშავდა კვლევის განვითარების სტრატეგია.

2017 წელს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რომელიც ეყრდნობა სამ ძირითად პოლიტიკას. მათგან ერთ-ერთია კვლევის განვითარების პოლიტიკა, განსაზღვრავს აწსუ-ს წიაღში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებისას სახელმძღვანელო პრინციპებს.

უნივერსიტეტის კვლევის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, აწსუ-ს ადმინისტრაცია, კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრთან ერთად, ახორციელებს კვლევის განვითარების სტრატეგიის მონიტორინგსა და მიმდინარე პროცესების შეფასებას. პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში უნივერსიტეტი მიჯნავს კვლევითი აქტივობების ხარისხობრივ და ტექნიკურ შეფასებას. ამ შემთხვევაში ფაკულტეტი მონიტორინგს უწევს კვლევითი საქმიანობის ხარისხს და აფასებს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობას შესაბამისი კრიტერიუმებითა და ინდიკატორებით. შეფასების დროს ითვალისწინებს უნივერსიტეტში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტაციით გაცემულ რეკომენდაციებს.

კვლევის ხარისხის შეფასება

- ფუნდამენტური, გამოყენებითი და შემოქმედებითი კვლევების ხარისხობრივ შეფასებას ახორციელებენ უშუალოდ ის სუბიექტები (ფაკულტეტი, კვლევითი ერთეული), რომელთა ქუდქვეშაც ხორციელდება აღნიშნული აქტივობა;
- კვლევის პროდუქტიულობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს ფაკულტეტი სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურებით;
- კვლევის პროდუქტიულობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას, ფაკულტეტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და საერთაშორისო რეკომენდაციებს.

კვლევის განვითარების პროცესის მონიტორინგი და ტექნიკური შეფასება

- კვლევის პროცესის მონიტორინგსა და ტექნიკურ შეფასებას ახორციელებს კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით;
- ცენტრი უფლებამოსილების ფარგლებში აგროვებს, აჯგუფებს და აღწერს მიღებულ ინფორმაციას, ახორციელებს ოპერაციულ კვლევებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა წარმოადგენს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმს და მოიცავს, ერთი მხრივ, აკადემიური პერსონალის, ხოლო მეორე მხრივ - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების კვლევითი საქმიანობის შეფასებას. შეფასებისას გამოიყენება შესაბამის წესებში და რეგულაციებში განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტები და პროცედურები. რეგულარულად ახლდება აკადემიური პერსონალის საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების კვლევითი საქმიანობის შესახებ არსებული მონაცემები და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

უნივერსისტეტის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა წარმოადგენს განვითარებაზე ორიენტირებულ, უწყვეტი შეფასების პროცესს და ეფუძნება PDCA პრინციპს. კვლევის ხარისხის შეფასების პროცედურა მოიცავს კვლევის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების/ინდიკატორების შემუშავებას და მუდმივ განვითარებას, მათი გამოყენების საფუძველზე კვლევის ხარისხის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებას.

კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების სისტემით შესაძლებელია შეფასდეს როგორც კვლევითი საქმიანობის ხარისხი, ასევე პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა. შეფასება ხდება პერიოდულად და დაფუძნებულია როდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორებზე. შეფასებისათვის გამოიყენება:

- ანგარიშგების გზით მიღებული ინფორმაცია;
- პირველადი მონაცემების წყაროები: Web of Science / Book Citation Index; Scopus; Google Scholar; Clarivate;
- Analytics;
- სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონაცემები და შესაბამისი ანგარიშები;
- კოლეგების, აგრეთვე დამოუკიდებელ მკვლევართა შეფასებები;
- ფაკულტეტზე შეგროვებულ მონაცემებს აანალიზებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ასახავს შესაბამის ანგარიშებში, რომლებსაც აწვდის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

კვლევითი საქმიანობის ხარისხის და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები (ასევე შესაბამისი ინდიკატორები, რომლებიც დაწვრილებითაა აღწერილი კვლევის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში):

1. სამეცნიერო სტატია
1. საგრანტო პროექტები
2. სასწავლო/შემოქმედებითი პროექტები
3. სამეცნიერო კონფერენციები/ სიმპოზიუმები (მონაწილეობა და/ან ორგანიზება)
4. გამოცემული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები
5. საავტორო უფლება, პატენტი, პრიორიტეტი სასარგებლო მოდელზე
6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დანერგვა-კომერციალიზაცია
7. საექსპერტო/საკონსულტაციო მომსახურება
8. სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია.

სამეცნიერო პერსონალის შეფასების მიზნით მკაფიო და კონკრეტული რეგულაციების ჩამოსაყალიბებლად, უნივერსიტეტი პირველ ეტაპზე ახორციელებს კვლევის პროცესის მონიტორინგს. მიღებულ შედეგებს, რომლებიც თავსებადი იქნება კვლევითი განვითარების სტრატეგიასა დაეფუძნება კვლევითი პერსონალის შეფასების კონკრეტული რეგულაციები. პარალელურად, 2018 წლიდან აწსუ აქტიურად ჩართულია ERASMUS+ -ის პროექტში HERD (Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units/HERD). პროექტი მიზნად ისახავს უპასუხოს ყველა იმ გამოწვევასა და სტრატეგიას, რაც დადგენილია საქართველოს მთავრობის განვითარების გეგმის მიხდვით, რომელიც მოიცავს განათლების რეფორმასა და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. პროექტის კონსორციუმი შედგება 20 პარტნიორისაგან: 12 ქართული HEI-სგან, 5 სამთავრობო სააგენტოსა და 3 EU HEI-სგან. პროექტის ფარგლებში უნდა შემუშავდეს/შეიქმნას ონლაინ პლატფორმა, რომელიც თავს მოუყრის უნივერსიტეტებში არსებულ კვლევით პოტენციალს. HERD-ის მონაწილე უნივერსიტეტები (ამ შემთხვევაში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიც) მიიღებენ ონლაინ პლატფორმას რომელიც სრულიად აღჭურვილი იქნება ყველა იმ საშუალებით, რომელიც დაეხმარება მათ დაგეგმონ და მონიტორინგი გაუწიონ კვლევით პროექტებს, გადახედონ თანამშრომელთა მიერ წარმოებულ აქტივობებს, გამართონ პროექტი ფინანსურად და წარმოადგინონ ანგარიში. HERD-ის პროექტი დაეხმარება უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს კვლევის განხორციელების ყველა ეტაპზე, დაწყებული პროექტის განვითარების დაგეგმარებით და პროექტის მართვისა და ანგარიშების მომზადებით დამთავრებული.

გარდა იმისა, რომ ქართული ონლაინ კვლევითი პორტალი ასახავს უახლეს ინფორმაციას უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ინფრასტრუქტურული და ადამიანური შესაძლებლობების შესახებ, იგი დაეხმარება აწსუ-ს გარე და შიდა საუნივერსიტეტო კოლაბორაციაში. ასევე ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რათა უცხოეთში არსებულმა უნივერსიტეტებმა იოლად მოძებნონ ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მიიღონ ინფორმაცია მათ კვლევით პოტენციალზე და დაინტერესდნენ თანამშრომლობით.

უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგად გამოვლენილი კვლევითი საქმიანობის კარგი პრაქტიკის გაზიარებასა და წახალისებას კოორდინირებას უწევს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. ეს შესაძლებლობას მისცემს უნივერსიტეტს შექმნას განსაკუთრებული პირობები საერთაშორისო ასპარეზზე

გამორჩეული პერსონალისათვის და ეფექტურად გამოიყენოს მხარდამჭერი მექანიზმები კვლეითი საქმიანობის ხარისხის განვითარებისათვის. ყოველი წლის ბოლოს უნივერსიტეტი დაინტერესებულ საზოგადოებას წარუდგენს მიმდინარე წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს.

2018, 2019 და 2020 წლის საანგარიშო პერიოდამდე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 186 ვაკანტურ ადგილზე 231 განაცხადის მიღება მეტყველებს იმაზე, რომ აწსუ-ში დასაქმება მიმზიდველია. აკადემიური პერსონალი სარგებლობს სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით(იხ. შინაგანაწესი), აფილირების შემთხვევაში შესაბამისი პრივილეგიებით. პერსონალის მართვის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია პერსონალის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. აწსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №108(17/18) დადგენილებით დამტკიცდა პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რითაც განისაზღვრა პერსონალის განვითარების მექანიზმები.

აწსუ-ში მოქმედებს პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები შემდეგი სერვისების სახით:

- აწსუ-ს სერვისები პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის;
- სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების ფარგლებში აწსუ-სთან თანამშრომლობით დაგეგმილი მობილობა/ტრენინგები/სემინარები/ სამუშაო შეხვედრები;
- სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აწსუ-სთან თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგები/სემინარები/ სამუშაო შეხვედრები.

აღნიშნული სერვისებიდან მნიშვნელოვანი წილი მოდის შემდეგ ღონისძიებებზე:

- ტრენინგებზე და სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინება;
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები;
- აწსუ-ს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება;
- აწსუ-ს სამეცნიერო კონფერენციების სერვისები.

პერსონალის შეფასების მიზნით დაიგეგმა თავდაპირველად აკადემიური პერსონალის, ხოლო შემდგომ დამხმარე პერსონალის პერიოდული შეფასების სისტემა. კერძოდ, აწსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 28 მარტის №13 დადგენილებით დამტკიცდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის (ასოცირებული პროფესორის) დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამობის დადგენის (პერსონალის ატესტაციის ჩატარების) წესი, რომლის მიზანი იყო:

- ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის განსაზღვრა დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან;
- პერსონალის მიერ საატესტაციო პერიოდში შესრულებული პროფესიული სამსახურებრივი საქმიანობის შეფასება;
- პერსონალის პროფესიული დონის გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა;
- პერსონალის პროფესიული ზრდის სტიმულირება.

ატესტაცია გაიარა და დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობა დაუდგინდა 318 ასოცირებულ პროფესორს.

სამეცნიერო-კვლევითი საქმინობის ინტერნაციონალიზაცია

სამეცნიერო-კვლევითი საქმინობის ინტერნაციონალიზაციის კუთხით უნივერსიტეტში არსებობს რეგულაცია სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში ჩართულობასთან დაკავშირებით (საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალის მონაწილეობის პროცედურა). აღნიშნული რეკომენდაცია კი გულისხმობდა სტუდენტთა უცხო ენის კომპეტენციის ამაღლებას. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა მკვლევრებისა და დოქტორანტების ხელშეწყობის, მათი საერთაშორისო მობილობაში ჩართულობისა და უცხო ენის კომპეტენციის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტმა დაიწყო კონკრეტული პროექტების განხორციელება. კერძოდ, შეიქმნა

დოქტორანტთა ინტერდისციპლინური კლასტერი. დოქტორანტთა კლასტერები წარმოადგენენ ისეთ ახალ აკადემიურ ორგანიზაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს აკადემიურ პერსონალს და გამორჩეულ სტუდენტებს (დოქტორანტებს), რომლებიც თავის კვლევებს ახორციელებენ საზოგადოებრივი და აკადემიური საჭიროებების საფუძველზე. კლასტერი წარმოადგენს პარტნიორობისა და კოლაბორაციის პრინციპს როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ მონათესავე სამეცნიერო დაწესებულებებთან, ასევე უცხოურ სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებთან. შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევით პროცესში განსაზღვრულია როგორც რეგიონული, ისე უცხოელი პარტნიორების ჩართულობა. პროექტის მიზანი იყო მეცნიერებისა და სწავლების განვითარება ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის კუთხით, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში დანერგვა, სწავლისა და კვლევის ერთიანობის განხორციელება, ასევე საერთაშრისო პარტნიორების დახმარებით კვლევითი სტრუქტურული ერთეულის შექმნა, ფაკულტეტის კვლევითი პროფილის გაღრმავება და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციისა და კომერციალიზაციის შესაძლებლობების განვითარება.

პროექტის აქტივობების ნაწილი უკვე განხორციელდა 2018-2019 სასწავლო წელს, კერძოდ, ფრიბურგისა (შვეიცარია) და ვარშავის (პოლონეთი) უნივერსიტეტების ჩართულობით, ნაწილის განხორციელება დაგეგმილია 2019-2020 სასწავლო წელს (ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების განვითარებისათვის ღონისძიებების განსაზღვრა და სტრუქტურული ჩარჩოების შექმნა, ვოქშოპები, სემინარები, ლექციები).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2019 წელს გახდა ევროკავშირის ERASMUS+ -ის ინსტიტუციური განვითარების პროექტის ,,უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში“ (ROLE OF UNIVERSITIES IN THE REGIONAL DEVELOPMENT - RURD) აპლიკანტ-კოორდინატორი. პროექტში ჩართულია: საქართველოს რეგიონალური უნივერსიტეტები და 4 ევროპული პარტნიორი ესპანეთიდან, ავსტრიიდან, ჩეხეთიდან და ლიეტუვადან. პროექტში ასევე ჩართულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

პროექტის მიზანია, ევროკავშირის პარტნიორებთან თანამშრომლობით საქართველოს რეგიონალური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის გაზრდა რეგიონების განვითარებაში, მათი მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მოდერნიზება, ასევე უნივერსიტეტებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, თითოეული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროექტის ეგიდით 2019 წლის დეკემბერში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება სააკორდინაციო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა პროექტის მონაწილე ყველა ინსიტუცია. შეხვედრის დროს პროექტის ეგიდით გაფორმდა საპარტნიორო შეთანხმება პროექტის ყველა მონაწილეს შორის. 4 ხელშეკრულება ევროპელ პარტნიორებთან (სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი), გრაცის უნივერსიტეტი (ავსტრია), მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), კაუნასის უნივერსიტეტი (ლიეტუვა), საქართველოს ყველა რეგიონალურ უნივერსიტეტთან, 10 ხელშეკრულება. სულ 2019 წლის დეკემბერსი გაფორმა 14 ახალი ხელშეკრულება.

გარდა ამისა, აწსუ-ში პარალელურად გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები კვლევის პროცესის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით. კერძოდ, აკადემიური საბჭოს №65-ე დადგენილების თანახმად დამტკიცდა „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ“ დადგენილება. დოკუმენტის თანახმად, გაიზარდა სამეცნიერო კონფერენციებში საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობის შემთხვევაში სამეცნიერო დატვირთვის საათები, კერძოდ:

1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის ორგანიზება და ხელმძღვანებლობა (1-დან 3 საერთაშორისო მომხსენებელი) - 150 სთ;
2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის ორგანიზება და ხელმძღვანებლობა (3-დან 5 საერთაშორისო მომხსენებელი) - 300 სთ;

3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის ორგანიზება და ხელმძღვანებლობა (5-დან 8 საერთაშორისო მომხსენებელი) - 500 სთ;
4. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის ორგანიზება და ხელმძღვანებლობა (8 და მეტი საერთაშორისო მომხსენებელი) - 1000 სთ;
5. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებულის რედაქტორობა - 1 კონფერენციის ფარგლებში 70 საათი;

ინტერნაციონალიზაციის გაღმავებისკენ წარმატებული ნაბიჯია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საქმიანობა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებზე (https://library.atsu.edu.ge/scientific-bases.html), რომლებიც აერთიანებს ათასობით სამეცნიერო ჟურნალსა და წიგნს. 2018 წელს, ყველა ელექტრონული ბაზა, ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელიდან, თუმცა დღეისთვის ScienceDirect-ის და EBSCO-ს ბაზებით სარგებლობა უკვე შესაძლებელია ინტერნეტში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერით ან სხვა შესაბამისი მოწყობილობით უნივერსიტეტის მიღმა.

2018 წელს ჩატარდა 40 ტრენინგი (აკადემიური პრსონალი - 350, სტუდენტი - 1250, დოქტორანტი - 50, სხვა დაინტერესებული პირი - 150) 2019 წელს ჩატარდა 39 ტრეინინგი (აკადემიური პრსონალი - 300, სტუდენტი - 500, დოქტორანტი - 80, სხვა დაინტერესებული პირი - 400) 2020 წელს ჩატარდა 10 ტერინინგი (აკადემიური პერსონალი - 50, სტუდენტი - 50, დოქტორანტი - 15, სხვა დაინტერესებული პირი - 15).

უნივერსიტეტისათვის უმნიშნელოვანესია პერიოდული გამოცემის, სამეცნიერო ჟურნალ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბის“ ინდექსირება „EBSCO”-ს ბაზაში, კერძოდ „Central & Eastern European Academic Source (CEEAS)“ -სა და „EBSCO Discovery Service“-ში. **2019 წლის აგვისტოდან აღნიშნულ ბაზაში უკვე ასახულია ჟურნალი.** ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროცესი ჟურნალის სრულ მონაცემთა ბაზაში ჩართულობის შესახებ. უნივერსიტეტის პერსონალს საშუალება ექნება უშუალოდ „EBSCO“-ს წარმომადგენლის მიერ ჩატარებულ ვებინარებსა და სემინარებზე მიიღოს ინფორმაცია სტატიების გამოქვეყნების, მათ გაფორმების, ბაზაში ნავიგაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. აღნიშნულ თემებზე ქართულ ენაზე სემინარები დაგეგმილია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს დაუკავშირდეს საერთაშორისო კვლევით და საგანმანათლებლო სივრცეებს.

უნივერსიტეტისათვის პოზიტიური და მნიშვნელოვანი სიახლეა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების ორგანიზაციაში გაწევრიანების შესაძლებლობის მიღება. "EURAXESS"-ი ხელს შეუწყობს აწსუს მჭიდრო ინტეგრირებას ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით სივრცეში და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას. კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღო „EURAXESS- პორტალი მკვლევრებისთვის» პორტალის უპირატესობების, ფუნქციებისა და გამოყენების შესახებ. ამჯერად მიმდინარეობს აკადეიური პერსონალის ტექნიკური მხარდაჭერა რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. პორტალის მეშვეობით აწსუს აკადემიურ პერსონალს საშუალება ექნება მსოფლიოს მასშტაბით მარტივად მოიძიოს გრანტები, დაამყაროს კონტაქტები და გაეცნოს მისთვის საჭირო სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციას.

ინტერნაციონალიზაიის კუთხით უნივერსიტეტში არსებობს რეგულაცია სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში ჩართლობასთან დაკავშირებით (საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალის მონაწილეობის პროცედურა). აღნიშნული რეკომენდაცია კი გულისხმობდა სტუდენტთა უცხო ენის კომპეტენციის ამაღლებას. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა მკვლევრებისა და დოქტორანტების ხელშეწყობის, მათი საერთაშორისო მობილობაში ჩართულობისა და უცხო ენის კომპეტენციის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტმა დაიწყო კონკრეტული პროექტების განხორციელება. კერძოდ, შეიქმნა დოქტორანტთა ინტერდისციპლინური კლასტერი. დოქტორანტთა კლასტერები წარმოადგენენ ისეთ ახალ აკადემიურ ორგანიზაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს აკადემიურ პერსონალს და გამორჩეულ სტუდენტებს (დოქტორანტებს), რომლებიც თავის კვლევებს ახორციელებენ საზოგადოებრივი და აკადემიური საჭიროებების საფუძველზე. კლასტერი წარმოადგენს პარტნიორობისა და კოლაბორაციის პრინციპს

როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ მონათესავე სამეცნიერო დაწესებულებებთან, ასევე უცხოურ სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებთან. შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევით პროცესში განსაზღვრულია როგორც რეგიონული, ისე უცხოელი პარტნიორების ჩართულობა. პროექტის მიზანი იყო მეცნიერებისა და სწავლების განვითარება ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის კუთხით, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში დანერგვა, სწავლისა და კვლევის ერთიანობის განხორციელება, ასევე საერთაშრისო პარტნიორების დახმარებით კვლევითი სტრუქტურული ერთეულის შექმნა, ფაკულტეტის კვლევითი პროფილის გაღრმავება და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციისა და კომერციალიზაციის შესაძლებლობების განვითარება. პროექტის აქტივობების ნაწილი უკვე განხორციელდა 2018-2019 სასწავლო წელს, კერძოდ, ფრიბურგისა (შვეიცარია) და ვარშავის (პოლონეთი) უნივერსიტეტების ჩართლობით, ნაწილის განხორციელება დაგეგმილია 2019-2020 სასწავლო წელს (ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების განვითარებისათვის ღონისძიებების განსაზღვრა და სტრუქტურული ჩარჩოების შექმნა, ვოქშოპები, სემინარები, ლექციები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • RE-QA კვლევის განვითარების პოლიტიკა • ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები • კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის დებულება • კვლევის განვითარების სტრატეგია • ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები - კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციური მექანიზმებისა და მათ სრულყოფის შესაძლებლობების არსებობა; - მაღალი კვლევითი პოტენციალის მქონე პერსონალი; - სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება და პარტნიორული ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობები - საერთაშორისო დონეზე უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის არსებული გამოცდილება და ერთობლივ კვლევით პროექტებზე მუშაობის მზაობა
გასაუმჯობესებელი მხარეები - კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემის სრულყოფა ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით; - სტუდენტთა კვლევითი აქტივობების გამრავალფეროვნების ხელშეწყობა; - აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობების სტიმულირება

რექტორი /როლანდ კოპალიანი/